სპორტი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 1 მაისი 2003 №77 (1848) | ფასი 50 თეთრი

ГРУЗИЯ!

1 მუშის საერთაშორისო მაისია

გაფაქი ალიევის ფოტო

ღრიალი გვინდა!

ვინ გაუგებს ნმაჩახლეჩილ საქართველოს

გიორგი დარჯანია

მოვიგეთ! როგორც იქნა, მოვიგეთ! თან ვის მოვუგეთ! რამდენიც უნდა თქვან, რომ რუსეთი ჩვენი მეგობარია, ფეხბურთი კი პოლიტიკა არ არის, სახალხო ზეიმს ორი მიზეზი თუ გამოიწვევდა: რუსეთის დამარცხება და საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გასვლა. პორტუგალიამდე ჯერაც ძალიან შორია, რუსეთს კი მოვუგეთ და აი, შედეგიც — ხალხმა როგორც იქნა, რაღაცით გაიხარა, გუშინ თბილისში სახალხო ზეიმი იყო. ისე, შეკრებისთან და ირლანდიასთან უსუსური თამაშები რომ არა, ეგებ პორტუგალია უფრო ახლოს ყოფილიყო.

თამაშამდე ყველაფერი ძველებურად და იმავდროულად არაჩვეულებრივად იყო. დინამიკებით ძველებურად მოგვასმენინეს სიმღერები თოვლზე, წვიმაზე, პირველ და უკანასკნელ სიყვარულზე, მონატრებაზე, განშორებაზე, სიხმრებზე და ასე შემდეგ, რაც სხვა ადგილას ეგებ კარგიც იყოს, მაგრამ სტადიონზე ნაზხმიანი ბიჭების სასიყვარულო სერენადები, მომკალი და, არ მჯერა, რომ ხალხის ჟინით ავსებას ეხმარება.

არც იმის მჯერა, პოლიციელი გულშემატკივარს ყელში რომ სწვდება და სანამ გულშემატკივარი არ ამოიხრიტინებს, ბილეთი მაქვსო, არ გაუშვებს, წესრიგის დაცვისთვის აუცილებელი ქმედება იყოს.

არც იმის მჯერა, საქართველოს ჰიმნის შესრულებისას სკამზე გაშხლართული და წინა სკამზე ფეხებშემოლაგებული სამართალდამცავი (მე-II სექტორის მეხუთე რიგში) სტადიონზე წესრიგის დასაცავად ყოფილიყო მისული.

სხვა მხრივ კი, პოლიციამ კარგად იმუშავა — ბოთლიანებს თავაზიანად სთხოვდნენ ტარის გარეთ დატოვებას და საეჭვოდ ჯიბეგაბერილებსაც საგულდაგულოდ ამოწმებდნენ, ოღონდ — დანიან თუ მაკრატლიან, მაგრამ საჭირო საბუთიან ხალხს თავისუფლად ატარებდნენ. თუმცა ეს იმდენად ამაზრზენი ფაქტი იყო, ცალკე მოგითხრობთ.

გუნდების მოედანზე გამოსვლის დრო დადგა. თავდაპირველად გასახდელიდან გამოვიდა გენერალივით გაჭიმული ივო შუშაკი და ფეხზე წამომდგარ ხალხს მიესალმა ამბების რიგითობას გაკუსწროთ და თამაშისას გამოჩნდა, რომ სწორი ტაქტიკა ჰქონდა — არავითარი ბურთის უაზროდ თრევა და განივი, არაფრისმომცემი პასები. თითქოს ძალიან მარტივია, მაგრამ ამ სიმარტივემ თავისი გააკეთა.

შუშაკს ფეხბურთელები გამოჰყვნენ და ჰიმნების შესრულების დროსაც მოაწია. რუსულ-საბჭოური „საიუზ ნერუშიმი“ დინამიკებთან ახლოს მსხდომთ ეგებ ესმოდათ, მაგრამ ცოტა ქვევით ვინც ვიჯექით, ნაღდად არ გაგვიგია, სტვენა ფარავდა და სიმართლე გითხრათ, შემეშინდა კიდეც, ემანდ „დიდების“ დაწყება არ გამომეპაროს-მეთქი. მერე მსაჯმაც ჩასტვინა და მატჩისწინა ყველა პერიპეტია გონებიდან 90 წუთით გაქრა — თამაში დაიწყო.



თამაში ქართული გოლით დაიწყო! მე-11 წუთზე მიხეილ აშვეთიამ მარჯვენა ფლანგზე კუთხურის ხაზთან ბოლომდე იბრძოლა, ბურთი არ დაკარგა, იქვე გიორგი დემეტრაძეს დაუგორა, ამან კარის გასწვრივ ჩაჰკიდა და მალხაზ ასათიანმა თავური დასცხო. როგორ აღვწერო, რა მოხდა მერე: ასეთ შემთხვევებში ამბობენ, სტადიონი დაინგრაო, მაგრამ მხოლოდ ამის თქმა ძალიან ცოტაა. განა ვინმე დარჩა, ხმის იოგები რომ დაეზოგა? თან ეს სხვანაირი ღრიალი იყო, ამ ღრიალში გოლის სიხარულის გარდა წლობით დაგროვილი ბოღმაც, გამარჯვების მონატრებაც, ეროვნული სიამაყეც ამოიხეთქა.

ობიექტურად, არაქომაგურად რომ ვთქვათ, ეს არ ყოფილა ბრწყინვალე თამაში. საქართველოს ნაკრები თამაშობდა, თორემ უცხოთა შერკინება რომ ყოფილიყო, ეგებ მალიმალ მოგეწყვიტათ თვალი. მაგრამ ჩვენ ბრწყინვალეებას არც ვითხოვდით. ამასწინანდელ „მანჩესტერ“ — „რეალის“ ჯადოქრულ მატჩს ნერვების წყვეტა, დროის გაყვანის და ტემპის დაგდების ტაქტიკა,

ალექსანდრ ფეტოსოვის ფოტო

იფრინაო, გიორგი დემეტრაძეზე იტყვიან

ალექსანდრ ფეტოსოვის ფოტო

მიხეილ აშვეთია რუს მცველებს არც რუსეთში და არც თბილისში არ ასვენებს

ზურაბ დოლიძეაშვილის ფოტო

გიორგი ლომაიამ ერთი ისეთი აიღო, გოლს ბევრი აღარაფერი უკლდა

ორდროშობანა

ხელისუფლებამ სტადიონზე დანიანი ხალხი შეაპარა

უმაყურებლო სამხრეთ ტრიბუნაზე ორი დროშა იყო გადაჭიმული: სახელმწიფო სამფერიანი და ხუთჯვრიანი. დროშები თოკებით იყო დამაგრებული. სამხრეთ ტრიბუნას (ასევე ჩრდილოეთისას), ხალხი რომ არ შესულიყო, პოლიციის და სამხედროების სქელი ჯაჭვი იცავდა.

თამაშის დაწყებამდე დაახლოებით სახევარი საათით ადრე მავანმა მამაკაცმა პოლიციისა და სამხედროთა კორდონი დაუბრკოლებლად გაიარა, ხუთჯვრიან დროშას მიადგა და დანით თუ მაკრატლით რამდენიმე თოკი მოაჭრა. ამის მერე ჯერ ტელეფონით დარეკა, მერე კი სამხედროთა და პოლიციელთა კორდონი ისევ დაუბრკოლებლად გადალახა და დასავლეთ ტრიბუნაზე მაყურებლებს შეერია.

რაკი დროშა ერთი მხრიდან დამაგრებული აღარ იყო, გადაიკეცა.

ათიოდე წუთში კორდონიდან დროშისკენ იგივე გზა სხვა ( ) მამაკაცმა გაიარა — ისევ დაუბრკოლებლად, დროშ[illegible] [illegible]ადევ რა[illegible]მდენიმე თოკი შეაჭრა და ხალხს შეერია.

დროშა კიდევ უფრო მოიკეცა. ორიოდე თოკის მოჭრაც და დროშას ქარი მოისვრიდა.

დაწყებული საქმის დასასრულებლად, ცხადია, იმავე გზით, დროშისკენ მესამე მამაკაცი გაემართა. ამ დროს ხალხმა იხუვლა, მთელმა აღმოსავლეთ ტრიბუნამ თოკების მჭრელის დედა მოიხსენია და ისიც შეშინებული უკან გაბრუნდა.

ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ არ აქცევდნენ პოლიციელები ამას ყურადღებას, პოლიციელებმა პასუხი ვერ გაგვცეს, მაგრამ რამდენიმე წუთში დროშასთან სხვები მივიდნენ და დაამაგრეს.

ვინ ჭრიდა დროშას? კონკრეტულ სახელებს, ცხადია, ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ადამიანები, რომლებიც დანამომარჯვებულები პოლიციის და სამხედროების კორდონს დაუბრკოლებლად ლახავენ, ადვილი მისახვედრია, ბრძანებას საიდანაც იღებენ.



ოდ.ბ ოდ.ბ ოდ.ბ ოდ.ბ

დროშასთან მესამედ მისვლა

მაგრამ გამარჯვება გვერჩივნა და ეს მივიღეთ.

სამაგიეროდ, ობიექტურადაც და ქომაგურადაც ჩვენ სწორი ტაქტიკა და ბრწყინვალე ფეხბურთელები ვნახეთ. დაასახელეთ გუნდი, რომელიც ასე მოთამაშე ზურაბ ხიზანიშვილს არ ინდომებდა. არც ერთი შეცდომა, არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, სრული თავდაჯერებულობა — მისთვის „დანდი" მეტისმეტად პაწაწინა გუნდია.

კახა კალაძის ასევე უშეცდომო თამაში, თუმცა ჩვენ ხიზანიშვილს უფრო ვაქებთ — კალაძისგან ნაკლებ თამაშს ხომ ისედაც არ ველოდით. თუნდაც ის რად ღირს, კუთხურის ალამთან ორმა რუსმა რომ მიიმწყვდია და ისე დაუსხლტა, ერთი წამით ეჭვი არ შეგეპარებოდათ, ვაითუ, ბურთი დაკარგოსო.

კარგი იყო ოთარ ხიზანეიშვილიც, და მასაც ხიზანიშვილისა და კალაძის გვერდით დავაყენებდით, ორეულერ რომ არ შემცდარიყო. ამათგან ერთ ეპიზოდში სასწაულით გადავრჩით — სემაკი გაექცა, ლომაიას პირისპირ შეეყარა და ბედად, ააცილა.

თავად ლომაია, კი ცოტა არ იყოს, შეშინებული ჩანდა, ის არ იყო, რაც შვეიცარიასთან, მაგრამ უნამუსობა იქნება, გუშინდელ გამარჯვებაში წვლილი დავუკარგოთ — ორი მეტრიდან დარტყმული ზედ კარის ხაზზე გააქვავა და გულშეღონებული ხალხი ააქოს მოაბრუნა. თუ გახსოვთ, ირლანდიასთან რომ აიღო, იმაზე ბევრად ძნელად ასაღები ბურთი იყო.

მალხაზ ასათიანს გმირობისთვის ის გოლიც ეყოფოდა, მაგრამ საერთოდაც ისე ითამაშა, ვარსკვლავობამდე აღარაფერი რომ უკლია. ბურთთან მისი ყოველი შეხება თამაშს ამწვავებდა. ერთი ეგაა, ბურთი სასურველზე იშვიათად მისდიოდა, რაც უკვე ორი საყრდენის პრობლემა იყო. ასათიანს კი, როცა შეცვალეს, სტადიონი ფეხზე წამოუდგა.

ურიგოდ არ უთამაშია ნაკრებში მეორედ წვეულ დავით კვირკველიას, ხოლო ლადო ბურდული უკან უკეთ ირჯებოდა, ვიდრე შეტევაში.

დემეტრაძე ბურთს რომ მიიღებს, სულ ელი, რომ რაღაცას აუცილებლად გაახერხებს, მაგრამ ისიც ხომ ვიცით, რომ მას მაღალი ბურთების მოხვლეთება უჭირს, არადა, მეტწილად სწორედ ამ გზით ცდილობდნენ მისთვის პასის მიცემას. მაგრამ როცა დემეტრაძესთან ბურთი მიდიოდა, იცოცხლეთ, მომენტებს ქმნიდა.

საერთოდ კი მომენტები ისეთი გვქონდა, უკეთესს ვერ ინატრებდით. სამჯერ, საჯარიმოს შიგნით, ერთი და იგივე ადგილიდან, ცქიტიშვილმა, კვირკველიამ და დემეტრაძემ, წინ რომ არავინ ელობებოდათ, ისეთები გააფუჭეს...

ამ მომენტებიდან ერთიც რომ გასულიყო, ის კოშმარული ბოლო ათი წუთი აღარ გვეჭნებოდა. რუსები გვიტევდნენ, ჩვენები ბურთს იგერიებდნენ, შეცვლილები მოედნიდან ზლაზვნით გადიოდნენ, წამებს იგებდნენ, რუსები ისევ გვიტევდნენ, ერთი-ორჯერ საშინელების მოლოდინში სუნთქვა შეგვეკრა... გადავრჩით. ათი წუთი არასდროს გასულა ასე ნელა. მაგრამ ასეთი ნერვიულობის მერე, როცა ბოლო წამამდე გეშინია, გამარჯვებას სხვა გემოც აქვს.

და როცა ბოლო წამიც მიიწურა და მსაჯმა ჩასტვინა... იმ წამს გახსოვდათ თუნდაც ერთი პრობლემა? გულში გქონდათ თუნდაც ერთი ხინჯი? არა? ბედნიერება მეტი არაფერია.

ვლადიმერ ფოფალაძეაშვილის ფოტო

გუშინ ვალერი გაზაევი ივო შუშაკს ამყარად ჩამორჩა



ზურაბ ხიზანიშვილი

საჯდეისო პოზიცია

შვეიცარია	4	2	2	0	7:3	8
რუსეთი	4	2	0	2	9:7	6
ალბანეთი	4	1	2	1	5:6	5
ირლანდია	4	1	1	2	5:7	4
საქართველო	4	1	1	2	3:6	4

ПРЕСКОНФЕРЕНЦИЯ



ბაბრი ჯეთილაძის ფოტო

ივო შუშაკი: ახლა ზეიმის დროა

საპრესკონფერენციო დარბაზის შესასვლელ კართან პოლიციელებმა კარგა ხანს გვაყურყუტეს — სანამ ვიპ ლოჟებს სტუმრები არ დაცლიან, არ შეგიშვებთო. სტუმართა შორის იყო პრორუსული და პროშევარდნაძისტული პოლიტიკოსიც — ამან სიხარულს მადლი ვერ მოაკლო, უბრალოდ პატარა ხინჯი დაატყო.

ცოტაც და *ივო შუშაკს* გასახდელიდან მინდორი გადმოჭრა და მისი ვერშეშვება პოლიციელებმა ვეღარ გაბედეს და ჩვენც გამარჯვების შემოქმედს მივეგებეთ.

პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა რუსთა მთავარსარდალი ვალერი გაზაევი და მან არც თავისი რომელიმე ასისტენტი გამოგზავნა — საპრესკონფერენციო სარბიელიც მთლიანად შუშაკის იყო — მას შეკითხვები რუსმა ჟურნალისტებმაც დაუსვეს.

— არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი კმაყოფილება და ბედნიერება. დღევანდელი გამარჯვება ჩემს ბიჭებს და გულშემატკივრებს ეკუთვნით — ქომაგი ჩვენთვის მეთორმეტე ფეხბურთელი იყო. შეკრების დაწყებიდანვე ვგრძნობდი, რომ ფეხბურთელები ბოლომდე დაიხარჯებოდნენ. მაგრამ სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული გამარჯვებაში.

— თამაში დაიწყო თუ არა, ჩემს ფეხბურთელებში მოგების დაუოკებელი წყურვილი დავინახე და დავიჯერე, რომ მატჩი ჩვენს სასარგებლოდ დამთავრდებოდა. უნდა ვაღიარო, რომ ეს ერთ-ერთი ბედნიერი წუთებია ჩემს ცხოვრებაში. ეს გამარჯვება მხოლოდ ქართული ფეხბურთისთვის კი არა, ქართველი ერისთვის იყო საჭირო.

— მოგება დიდი სტიმულია ჩვენი ფეხბურთისთვის. ამით დავამტკიცეთ, რომ ქართული ფეხბურთი ფსკერზე არაა ჩაძირული, რომ ჩვენ ფეხბურთელებს მოგებისთვის აუცილებელი სული და გული აქვთ.

— მეტოქეზე საკმაოდ ბევრი ინფორმაცია გვქონდა. ვიცოდით, რომ რუსეთი ერთი ფორვარდით ითამაშებდა. ჩვენ დასახული გეგმისგან არ გადაგვიხვევია, უბრალოდ დაცვის ხაზში გარკვეული კორექტივები შევიტანეთ მატჩის მსვლელობისას. დამტკიცდა, რომ სამი მცველით თამაში სწორი არჩევანი იყო. მეორე ტაიმში მეტოქემ ყველაფერი შეტევისთვის გადადო და ამან კონტრშეტევებზე თამაშის კარგი შანსი მოგვცა. სულ მცირე ერთი გოლი კიდევ უნდა გაგვეტანა. ისე კი, მთელი ჩვენი ენერგია 90 წუთისთვის კარგად გავანაწილეთ.

— მალხაზ ასათიანს იმიტომ ვენდე, რომ მისი შესაძლებლობები მე უფრო კარგად ვიცი, ვიდრე მოსკოვის „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა.

— რაც შეეხება შოთა არველაძესთან დაკავშირებით მომხდარ ფაქტს, ამაზე დაწვრილებით საუბრის დრო ახლა არ არის. არველაძე დილით არ გამოცხადდა შეკრებაზე. მისი სასტარტოში თამაში გათვალისწინებული არ გვქონდა, მაგრამ მატჩის 18-კაციან განცხადში მისი ადგილი იყო.

— მე ყოველთვის იმას ვამბობდი, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უნდა დავაფასოთ. ასათიანიც ხომ ახლახან წავიდა საქართველოს ჩემპიონატიდან და დღეს საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელებმაც კარგად წარმოაჩინეს თავი.

— თამაში მეტოქის სუსტ მხარეებზე კი არა, ჩვენს შესაძლებლობებზე ავაგეთ.

— ასეთ ვითარებაში ჯგუფიდან გასვლაზე ფიქრის უფლება ჯერ არ გვაქვს. ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი კონკრეტული მატჩისთვის ვიყავით დაგეშილნი. ცხადია, ასევე მოვემზადებით მომდევნო მატჩისთვის ირლანდიასთან. იქაც ბლომად დავიხარჯებით და მერე იმას გამოვრჩებით, რასაც ღმერთი მოგვცემს.

— ჩემი სტილი არაა, კონკრეტული მოთამაშეების გამორჩევა — საუკეთესო საქართველოს ეროვნული ნაკრები იყო.

— ხანგრძლივი გეგმების დასახვის უფლება არც ერთ მწვრთნელს არ აქვს, მაგრამ ეროვნული ნაკრების სათავეში რომ ვარ, ეს ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის დიდი პატივია.

— რუსეთმა ალბათ უფრო სუსტად ითამაშა, ვიდრე წინა მატჩი ალბანეთთან და ამის მიზეზი ჩემი ფეხბურთელები არიან. ჩვენი თავდაცვა ჩვენი ორი ფორვარდით იწყებოდა, რაც საქმეს უადვილებდა ნახევარდაცვასა და დაცვას.

— არავითარი გამოწვევა არ მაშინებს როგორც მწვრთნელს, შემიძლია ყველაფერი ვიტვირთო.

— იმის ბედნიერება არ მქონია, რომ გაზაევს ჩემთვის გამარჯვება მოელოცა.

— ახლა ჩვენი გუნდის ხარვეზებზე ლაპარაკის დრო არაა — ზეიმის დროა.

სამიოდ თვის წინ ხორვატი ივო შუშაკი ხვეწნა-მუდარად იყო გადაქცეული და „დინამოს“ ხელმძღვანელებისგან მალხაზ ასათიანის ყიდვას ითხოვდა. მაგრამ მაშინ თითქმის გაჩარხული ტრანსფერი ჩაიშალა.

შუშაკმა ოცნება გუშინ აიხდინა, ასათიანი მის დამოძღვრილ ეროვნულ გუნდში ათამაშა და მალხაზმაც ნდობა გაამართლა. მან ისევ ვერ გაძლო 90 წუთი, მაგრამ გუშინდელი მატჩის მთავარ გმირად მოგვევლინა, ასათიანმა თამაში გააკეთა და ეროვნულ გუნდში მისი ერა დაიწყო.

არადა, ის დროც ხომ კარგად გვახსოვს მალხაზს მოედნისკენ გახედვაც რომ არ სურდა, მისგან ყველა რაღაცას მოელოდა, ის კი სათავისოდ მხოლოდ არჩევნის უფლებას ითხოვდა.

ტალანტი მაინც არ დაიკარგა, დაგრეხილმა ნიჭმა გუშინ საღამოს ცხრის თერთმეტ წუთზე ამოხეთქა. ასათიანი ყველაზე საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და ერთი-ზუსტი თავურით რუსებისგან ბევრჯერ გაწირული ქართველობა სიხარულისგან გადარია.

მალხაზ ასათიანი ნამატჩევს მშობლიური ქალაქისკენ მიიჩქაროდა, იქ, ერთ მოკრძალებულ უბანში არავის ეძინა. „ზაოდელები“ მათ თვალწინ გაზრდილ ბიჭს ელოდნენ. შინ მისვლამდე კი მალხაზმა ჩვენ და ქართველ ქომაგს ეს ინტერვიუ დაგვიტოვა...

ასათიანმა გოლში მთელი საქართველო ჩაიზიარა

— რა გითხრათ, არც ვიცი. ახლა ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულება. ამ გამარჯვებას ვულოცავ მთელს საქართველოს, ყველას ვინც გვქომაგობდა. ალბათ, ქართველ ხალხს დიდი სიხარული ვაჩუქეთ და ეს ძალიან მეამყება. რუსებთან მოგებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და მიხარია, რომ ეს შევძელით. წარმოუდგენელი გრძნობაა სტადიონზე ამდენ გახარებულ სახეს რომ ხედავ. ეს დღე არასოდეს დამავიწყდება.

— შენს თამაშზე რას იტყვი. კმაყოფილი ხარ?

— დებიუტისთვის მგონი ურიგო არ იყო. უკეთაც შემეძლო, მაგრამ ახლა ეს არავის ახსოვს. საკუთარ თავზე მეტს ვერაფერს ვიტყვი. დანარჩენი ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა შეაფასონ.

— გოლი თავით გაიტანე, რაც შენს ძლიერ მხარედ არასოდეს ითვლებოდა...

— ჩათვალეთ, რომ გოლი მე არ გამიტანია. ეს იყო მთელი გუნდის, ყველა ფეხბურთელის მიერ გატანილი გოლი. ბიჭებმა თავი არ დაზოგეს და შედეგიც მივიღეთ. ჩემი გოლიც მთელ გუნდს და მთელ საქართველოს ეკუთვნის.

— მოედანზე, ცხადია, მაინც სულ სხვა ემოციები იყო. მაინც რას გრძნობდი?

— ერთი წუთით არ მიფიქრია, რომ რაღაც ეპიზოდში მარტო ვიყავი. ვგრძნობდი, რომ ყველანი ერთი მთლიანი ორგანიზმი ვიყავით. ბიჭების მონდომება და ჟინი ნამდვილად დასაფასებელია. მსურს მადლობა ვუთხრა მათ ასეთი თავდადებისათვის. შეიძლება ზედმეტად ემოციურად გამომდის, მაგრამ ახლა სხვაგვარად არ შემიძლია.

— მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე ივო შუშაკმა შეგცვალა. ალბათ, დაიღალე...

— „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში თითქმის არ ვთამაშობ. ამიტომ ჩემთვის მართლა ძნელი იყო ასეთი დონის მატჩში 90 წუთი თამაში. თან შუშაკმა ჩემი შეცვლით მოედნის ცენტრი გააძლიერა, რაც გამართლებული იყო.

— „ლოკომოტივში“ არ ვთამაშობო, თქვი. საერთოდ თუ ელოდი, რომ შუშაკი გენდობოდა და ძირითად შემადგენლობაში დაგაყენებდა?

— ასეთ მდგომარეობაში მე საერთოდ ნაკრებში გამოძახებასაც არ ველოდი.

— გასაგებია, მაგრამ გამოგიმახეს. ნაკრების შეკრებაზე თუ გრძნობდი რომ ძირითადში ითამაშებდი?

— სიმართლე რომ ვთქვა, თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ეს უკვე მოულოდნელი არ იყო. თანაც ნაკრებს გიორგი ქინქლაძე, გოჩა ჯამარაული და ლევან კობიაშვილი გამოაკლდნენ და ეს შანსებს მიზრდიდა. ვარჯიშებზე უკვე ვგრძნობდი, რომ თამაში მომიწევდა. ივო შუშაკმაც კარგად მომამზადა. მან კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები და მიხარია, რომ ჩემში არ შეცდა.

— ივო შუშაკს შენი გადაბირება თბილისის „დინამოშიც“ სურდა, მაგრამ არ გამოუვიდა. ახლა თქვენი თანამშრომლობა მაინც შედგა...

— მასთან ახლო ურთიერთობა აქამდე ნაღდად არ მქონია. ახლა კი დავრწმუნდი, რომ ის კარგი მწვრთნელი და ასეთივე პიროვნებაა.

— აქამდე საქართველოს ნაკრებში ორი ამხანაგური მატჩი გითამაშია, მაგრამ ახლა მაინც ახალწვეულად ითვლებოდი. უცხოდ ხომ არ გრძნობდი თავს?

— არა. პირიქით. ყველამ თბილად მიმიღო. რამდენიმესთან ერთად ახალგაზრდულ ნაკრებშიც მქონდა ნათამაშები და ამანაც გამიადვილა მდგომარეობა. ნაკრების წევრებთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

— დღევანდელი თამაშით, ალბათ, „ლოკომოტივის“ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე სერიოზული განაცხადი გააკეთე...

— ვნახოთ. ბევრი რამ მწვრთნელზეა დამოკიდებული.

— მაინც როგორ ფიქრობ, რატომ ვერ ხვდები ძირითადში?

— ალბათ, გარკვეული დრო არის საჭირო, მაგრამ მე ეს არ მაინტერესებს. მოსკოვში სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად ნაღდად არ წავსულვარ და ვეცდები მალე ვითამაშო.

— შენი მთავარი კონკურენტი დმიტრი ლოსკოვია...

— ის გუნდის კაპიტანია და რუსეთში ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მას იქ ძალიან აფასებენ, თუმც ეს ჩემთვის არაფერს ნიშნავს. მთავარია მოვინდომო და შეუცვლელი არავინაა.

ძახა შალამბერიძე

ბაბრი ჯეთილაძის ფოტო

ყველაფერი ერთად

მორატიმ კუპერს ფინალი მოსთხოვა





დახლართული დასაწყისი თუ გვინდა, ასე ვთქვათ: ლომბარდიის დედაქალაქში ტურატის ქუჩიდან დურინის ქუჩამდე მხოლოდ ერთი ფიქრი აწვალებთ — რა მოხდება ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში? ახლა კი ივივე გასაგებად გავიმეოროთ: მილანში, „მილანის“ ოფისიდან დაწყებული, „ინტერის“ ოფისით დამთავრებული, მოახლოებულ დერბიზე ფიქრობენ — განგებამ ქალაქის გუნდები „გეგმის გადაჭარბებით“ დაუპირისპირა ერთმანეთს, მათ ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის ვინაობა უნდა გაარკვიონ. ერთი სიტყვით, მომდევნო კვირაში „მილანი“ — „ინტერია“, შემდეგ კი „ინტერი“ — „მილანი“. ქალაქში აჟიოტაჟია. გუშინწინ პირველი შეხვედრის 12 ათასი ბილეთი თვალის დახამხამებაში გაიყიდა. ხანდაზმული ევროპელი ჟურნალისტები იგონებენ, რომ ასეთ ფორიაქს 1959 წელს მადრიდი თუ მოესწრო, როდესაც ესპანეთის დედაქალაქის ორი გუნდი, „რეალი“ და „ატლეტიკო“ ერთმანეთს მაშინდელი ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში შეხვდნენ.

„ინტერის“ პრეზიდენტმა, მასიმო მორატიმ განაცხადა, თუ ექტორ კუპერს თანამდებობის შენარჩუნება უნდა ფინალში უნდა გაგვიყვანოსო.

„ჯერჯერობით სხვა მწვრთნელის ძებნა არ დამიწყია, რადგან „ლაციოსთან“ 1:1-ის შემდეგ კუპერთან არ მისაუბრია. კონტრაქტის თანახმად, არგენტინელმა ჩვენთან კიდევ რამდენიმე წელიწადი უნდა დაჰყოს. და კაცმა რომ თქვას, რაც აქ არის, ცული შედეგებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ „მილანის“ დამარცხება ძალიან ბევრ რამეს მოპფენს ნათელს. „ინტერის“ დონის გუნდისთვის გამარჯვებები აუცილებელია“ — თქვა მორატიმ.

ასე და ამგვარად, მილანში ვითარება დამუხტულია, თუმცა ყოველივე ეს სატრანსფერო ჭორებს ვერაფრით აბრკოლებს. ჭორთაგან ერთ-ერთი მთავარი კი ის გახლავთ, რომ „შავ-წითლები“ და „შავ-ლურჯები“ ანდრეი შევჩენკოს და ალვარო რეკობას გაცვლას აპირებენ. შევჩენკო კუპერს მოსწონს, რეკობას ხელში ჩაგდებაზე კი „მილანის“ მწვრთნელი, კარლო ანჩელოტი ოცნებობს, ოღონდ საბოლოო სიტყვა, ბუნებრივია, პრეზიდენტების სათქმელია. ისინი კი კაცმა არ იცის, რას იტყვიან.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ჯერჯერობით სულ სხვაზე ლაპარაკობს: „ამ ბაფხულს ღიდ კონტრაქტს მოვაწერთ ხელს. ჩვენს მაისურას დევიდ ბექემი, ლუიშ ფიგუ ან რონალდო ჩაიცვამს“.

აბა, ბექემი „რეალში“ მიდისო? რონალდო კი „ინტერს“ დიდი ჩხუბით გასულ ხაფხულს გასცილდა და ძისი „შავ-ლურჯ“ ბანაკში დაბრუნება ფრიად საეჭვოა.

ფიგუ? გამორიცხული არაფერია.

პაპუნა კედია

სერია C2 უკვე განვლილი ეტაპია — „ფლორენცია ვიოლა“, ანუ ის, რაც ძველი „ფიორენტინას“ ნანგრევებზე აიგო სერია A-სკენ მიმავალ გზას შეუდგა, თუმცა ეს გზა, რომ ძალიან გრძელია განა ამას მტკიცება სჭირდება?

სერია C2-ის ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „ფლორენცია ვიოლა“ მეორე ადგილზე მყოფ „რიმინი კალჩოს“ 9 ქულით უსწრებს — კვირას „იებმა“ 35 ათასი გულშემატკივრის თვალწინ 3:0 მოუგეს „სავონა კალჩოს“

ჭერი ასწიეთ, დურგლებო!

და მაინც... საცოდაობაა! იტალიის ორგზის ჩემპიონი, ამ ქვეყნის პირველი გუნდი, რომელმაც ევროპული ჯილდო მოიგო — 1961 წელს უეფას თასი — სულ ცოტა ხნის წინ, 1999-2000 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგის მონაწილე... რა უნდა სერია C2-ში? რატომ უნდა უხაროდეს სერია C1-ში გადასვლა? წარმოიდგინეთ, რომ „ფლორენცია ვიოლამ“ წელიწადი არ დაკარგოს და ყოველ მომდევნო სეზონში თითო საფეხურით ზევით აიწიოს, სერია A-მდე ასვლას 2009 წლამდე მოუნდება.

სერია C2, სადაც ფლორენციელები კლუბის გაკოტრების გამო ჩაადეს, იტალიის პროფესიულ ლიგათა შორის ყველაზე დაბალია. იგი რეგიონული პრინციპით არის შედგენილი და სამ თვრამეტგუნდიან ჯგუფად გახლავთ დაყოფილი. ამ ლიგაში სტადიონებზე, საშუალოდ სამი ათასი მაყურებელი დადის, მაგრამ ეს ყველას ეხება „ვიოლას“ გარდა. „არტემიო ფრანკიზე“, გასულ სეზონში, საშუალო დასწრება 25 ათასი გახლდათ.

ეჰ! მოგეხსენებათ, რა ვარსკვლავები დაქროდნენ „ფიორენტინას“ შემადგენლობაში — რუი კოშტა თუ გაბრიელ ბატისტუტა... ღღეს გუნდის მთავარი თავდასხმელი 29 წლის კრისტიან რიჯანოა, კაცი, რომელიც წლობით უთავსებდა ერთმანეთს ფეხბურთელობასა და დურგლობას. თუმცა, რიჯანო დიდი ყოჩაღი კაცი გამოღგა, ამ სეზონში 28 გოლი შეაგდო (შეგახსენებთ, ორი ტური კიდევ წინაა), რაც სერია B-ს რეკორდი გახლავთ.

„გადამწყვეტი მატჩის სანახავად ამდენი გულშემატკივრის მოსვლამ ჩემზე ძალიან იმოქმედა — განაცხადა ბომბარდირმა — ასეთი აუდიტორიის წინაშე ხომ არასდროს მითამაშია. მინდა წარმატება ქალაქსა და მოქალაქეებს მივუძღვნა. ისინი სერია C2-ის ფეხბურთს არ იმსახურებდნენ, მაგრამ არ განაწყენებულან, პირიქით, მხარში ამოუდგნენ თავიანთ გუნდს. ჩემი ოცნება, ოდესმე, ჩემი გუნდის შემადგენლობაში სერია A-ში თამაშია“.

მეორე მთავარი გმირი მწვრთნელი, ალბერტო კავასინია, „ლეჩეს“ ყოფილი თავკაცი, რომელმაც 29 ოქტომბერს პიეტრო ვერხოვოდი შეცვალა — ვერხოვოდის ხელში „ვიოლა“ ცხრილის შუაში ჯავგურობდა. კავასანი მივიდა თუ არა გუნდში, განაცხადა:

„წინ 26 შეხვედრაა და მსურს ყველა მოვიგოთ“.

26 ჯერ არ გალეულა, 24 მატჩი ჩატარდა და მათგან „ვიოლამ“ 16 მოიგო.

კავასანი განაგრძობს: „ჩვენ ვალდებულნი ვიყავით ეს ჩემპიონატი მოგვეგო. ძნელი იყო, მაგრამ შევძელით, ქალაქისთვის უმნიშვნელოვანეს წარმატებას მივაღწიეთ, თუმცა ჩემი მიზანი გუნდის სერია A-ში დაბრუნებაა. აქ ამიტომ მოვედი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ წინ დიდი სირთულეები გადაგვეღობება, „ფიორენტინა“ რაც შეიძლება მოკლე დროში უეჭველად დაბრუნდება იქ, სადაც მისი ადგილია“.

და, რა თქმა უნდა, „ფიორენტინას“ თუ „ფლორენცია ვიოლას“ გამარჯვება ანჯელო დი ლივიოსთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი. 36 წლის ვეტერანი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან პირდაპირ სერია C2-ში ჩაერთო, რათა ფლორენციელთათვის ეერთგულა, რათა 1,5 მილიონი ევროს მაგივრად მხოლოდ 130 ათასი აელო და გუნდი ზედა ლიგებისთვის დაბრუნებინა, მაგრამ დეკემბერში მუხლი დაიზიანა და ისე სერიოზულად, რომ სექტემბრიდან შეძლებს თუ არა სერია C1-ში თამაშს, საკითხავია.

ბოლოს კი მთავარ ადამიანს, კლუბის ახალ მეპატრონეს, დიეგო დელა ვალეს შეგახსენებთ. მისი უახლოესი მიზანი გაინტერესებთ? მოგახსენებთ, ეს გუნდისთვის ძველი ლოგოს და სახელის დაბრუნებაა, შემდეგ კი...

პაპუნა კედია

რეკლამა

სარგბიელ—ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ერიკსონის ამხანაგური შეხვედრები ინგლისის ამხანაგურ შეხვედრებამდე

ისე, ვინ ჰყითხავს ბლატერს?!



სვენ გორან ერიკსონისთვის დევიდ მოიესს უეინ რუნი არ ემეტება

სვენ გორან ერიკსონი პრემიერლიგის გუნდების მწვრთნელებთან შეხვედრას აპირებს. შვედ სპეციალისტს ფეხბურთელების ნაკრებში გამოძახებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება სურს. ერიკსონი ალექს ფერგიუსონს, ბობი რობსონს, დევიდ მოიესს, არსენ ვენგერს და ჟერარ ულიეს მოინახულებს.

„მანჩესტერ იუნაიტედი“, ფაქტობრივად, ნაკრების საბაზო გუნდია. დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი, ნიკი ბატი, გარი ნევილი, რიო ფერდინანდი და ვესლი ბრაუნი — მანჩესტერს ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი ფეხბურთელი ჰყავს. ამიტომ შვედისა და შოტლანდიელის საუბარი მეტად საინტერესო იქნება. გავიხსენოთ, რომ შარშანდელ სექტემბერში პორტუგალიასთან ამხანაგური მატჩის წინ ფერგიუსონმა ერიკსონს შეუთვალა, სქოულზი ტრავმირებულია და არ გამოვუშვებო. მეორე დღეს კი ნაკრების მწვრთნელმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში მოთამაშე პოლ სქოულზი იხილა.

სვენ გორან ერიკსონის თქმით, მთავარია, მწვრთნელებმა ამხანაგური შეხვედრებისთვის გამოიტანონ ფეხბურთელები, რათა შვედს ექსპერიმენტების საშუალება მიეცეს. არადა, პრემიერლიგა ჩათავებაზეა და ბევრ გუნდს გადამწყვეტი მატჩებისთვის მოთამაშეები სათავისოდ სჭირდება. ერიკსონი ნარჩევ ბიჭებს მხოლოდ ერთ ტაიმს ათამაშებს, რითაც მწვრთნელები კმაყოფილნი არიან, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ფაქტი ფიფას პრეზიდენტს არ ეამა და შეურაცხმყოფელი უწოდა. მაგალითად, ავსტრალიასთან ინგლისის ნაკრებმა პირველ ტაიმში ერთი შემადგენლობით ითამაშა, მეორეში კი — სულ სხვით. ბლატერმა ერიკსონის ექსპერიმენტი საფეხბურთო თაღლითობად მონათლა და ამხანაგურ შეხვედრებში შეცვლების რაოდენობის შეზღუდვით დაიმუქრა.

შვედ სპეციალისტს საერთო ენის გამონახვა „ეკერტონის“ მწვრთნელ, დევიდ მოიესთანაც გაუჭირდება. „ეკერტონის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე შავით თეთრზე წერია: „ეს სეზონი უეინ რუნისთვის პირველი იყო პროფესიულ ფეხბურთში. ის ხშირად თამაშობდა და ამტომ ზაფხულში საფუძვლიანი დასვენება სჭირდება“. ეს იმას ნიშნავს, რომ მოიესი 22 მაისს დაგეგმილი ამხანაგური მატჩისთვის (ინგლისი — ს. აფრიკა) რუნის გაშვებას არ აპირებს. „ეკერტონის“ თავკაცს ფსიქოლოგიური არც სხვა ამხანაგური შეხვედრებისთვის ეშლება, მაგრამ ერიკსონი ჯიუტად დგას თავის სიტყვაზე — მას უეინ რუნი სჭირდება.

ვაჟა ხუციშვილი





ურჩი მწვრთნელები: ჟერარ ულიე, ალექს ფერგიუსონი და არსენ ვენგერი

ენრიკე რეინამ და რადომირ ანტიჩმა ხელი ხელს დაჭრეს

მცირე დეტალი

ბარსელონამ ანტიჩი დაიტოვა

რადომირ ანტიჩი და „ბარსელონა" გარიგდნენ: სერბი მწვრთნელი კლუბში მომდევნო სეზონშიც იმუშავებს. მოგეხსენებათ, ანტიჩი „ბარსაში" ჯერ კიდევ ხუან გასპარმა მიიყვანა და მიმდინარე კონტრაქტი ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება. სეზონი კი 22 ივნისს გასრულდება. ანტიჩს ახალი კონტრაქტი კლუბის დროებითმა პრეზიდენტმა ენრიკე რეინამ შესთავაზა. „რადომირ ანტიჩისადმი ჯერჯერობით სასაყვედურო არაფერი გვეთქმის, ის საშუშაოს კარგად უძღვება და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე გააგრძელებს" — თქვა რეინამ ახალი კონტრაქტის პირობების შეთანხმების მერე.

თითქოს ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ ერთი „მცირე" დეტალი მაინც რჩება: „ბარსელონას" საპრეზიდენტო არჩევნები.

არჩევნები 8 ივნისსაა დანიშნული და სად არის გარანტია, რომ მას უცილობლად ენრიკე რეინა მოიგებს? ცხადია, ამის გარანტია არ არსებობს და თუ „ბარსელონას" ახალ პრეზიდენტად ისეთი პიროვნება აირჩიეს, რომელსაც ანტიჩი დიდად არ ეპიტნავება, მწვრთნელის და დროებითი პრეზიდენტის გარიგება, ძალას დაკარგავს.

გიორგი დარჯანია



ხოსე მანუელ ესნალ პარდო უპარდონოდ გაუშვეს

არც კარგი, არც ცუდი

ალავესმა სიამაყე დაკარგა

რა კაცი, რა კაცი... ხოსე მანუელ ესნალ პარდო, ივივე მანე, ერთ დროს ვიტორიისა და სრულიად ბასკეთის სიამაყე, საშაბათს თავჩაქინდრული გაუშვეს „ალავესიდან". 53 წლის მანემ ბასკთა დედაქალაქის გუნდში შვიდი წელი იმუშავა, შარშანწინ უეფას თასის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფინალში ათამაშა, დღეს კი „ალავესი" პრიმერადივიზიონიდან გავარდნის პირასაა. მანეს გაშვების თაობაზე გადაწყვეტილება „ალავესის" პრეზიდენტმა გონსალო ანტონმა მწვრთნელთან საუბრის შემდეგ მიიღო.

ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილ შვიდ ტურში ვიტორიელებს სარეზერვო გუნდის მწვრთნელი ჩიჩი არანგურენი გაუძღვება, ვინაც მანეს მისვლამდე ორი წელი თავკაცობდა კიდეც პირველ გუნდს. სარეზერვო გუნდს კი რამირო სოლისი ჩაიბარებს.

არანგურენს თავის დროზე სამ პრიმერადივიზიონულ გუნდში უმუშავია. ესენი „ლოგრონიესი", ხიხონის „სპორტინგი" და „ბილბაო" გახლავან.

„ალავესის" საქმე კი ცუდადაა. გუნდს თებერვლის შუა რიცხვების მერე აღარ მოუგია, წლეულს ჩატარებული 12 მატჩიდან კი 8 წააგო.

არანგურენს პირველი გამოცდა კვირას, „სელტასთან" საშინაო შეხვედრაში ელის. ხოლო დანარჩენი მეტოქეები არიან: „ატლეტიკო" (სტუმრად), „ბილბაო" (შინ), „ესპანიოლი" (სტუმრად), „რეალ ბეტისი" (შინ), „ოსასუნა" (სტუმრად), „ვალიადოლიდი" (შინ).

კალენდარს არც ცუდი ეთქმის და არც იდეალური. რაღაც საშუალოა.

გიორგი დარჯანია

ულვაშა ძიძა

დელ ბოსკე ბუს კვერცხებს არ გამორიცხავს

გუნდში რომ ბღუჯა-ბღუჯა ვარსკვლავები თამაშობენ, ქომაგისთვის სიამოვნებაა, მწვრთნელისთვის კი სიამოვნების გარდა თავსატეხიცაა. გენიოსებს კაპრიზები სჩვევიათ და მათთვის აღვირის მორგება იოლი არაა. მიუხედავად ამისა, მადრიდის „რეალის" ულვაშა თავკაცი სამწყსოში ვითარებას სრულად ფლობს და ნებისმიერი მატჩის დროს, სხვა მწვრთნელებისგან განსხვავებით, მშვიდად გამოიყურება. მისი აურა „რეალის" ვარსკვლავბიჭებზეც დადებითად მოქმედებს. „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში დელ ბოსკემ გული გახსნა.

— წინა კვირა თქვენთვის ნაყოფიერი გამოდგა...

— ნამდვილად იდეალური იყო, თუმცა წინ უფრო რთული მატჩები გველის. ყველა უმაღლეს დონეზე უნდა ჩავატაროთ, რათა თუნდაც პრიმერადივიზიონი მოვიგოთ. ნაადრევი სიხარული მავნებელია.

— „სოსიედადის" დამარცხებით „ბარსელონამ" „რეალის" საქმე გააკეთა...

— დიახ. მართალია, რომ ჩვენი კონკურენტი დაამუხრუჭა, მაგრამ ვალში არც „რეალი" დარჩენილა. „სევილიას" მოვუგეთ და „ბარსელონას" უეფას თასზე გასასვლელი გზა დავუტოვეთ.

— დარჩენილ შეხვედრებში უშუალო კონკურენტებს არ ხვდებით და ჩემპიონობის მიღწევა შედარებით გაგიადვილდებათ. დავუშვათ, „მალიორკასთან", „მალაგასთან" ან „უელვასთან" ქულათა მაქსიმუმი მოაქუჩეთ...

— ვერ დაგეთანხმებით, რომ იოლი გასეირნება გველის. „მალიორკა" „დეპორტივოს" როგორ გაუმასპინძლდა, ხომ ნახეთ? „უელვამ" ერთ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა და არც ესაა წასაყრუებელი ამბავი.

— თქვენ დუბლის შესრულების კარგი შანსი გაქვთ. ესპანეთის ჩემპიონობა და ჩემპიონთა თასის მოგება ამჟამინდელ „რეალს" ძალუძს?

— ძალიან გაგვიჭირდება. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ბუს კვერცხები შეგვრჩეს. ერთი რამ ნაღდია — ოფლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ.

— ფლავიო კონსეისაუ ძირითად შემადგენლობას რატომ გაუუცხოვდა?

— კონსეისაუ ბრწყინვალე ფეხბურთელია და დღევანდელი „რეალის" წარმატებებში მისი წვლილიც უდავოდ არის. ძირითად თერმეტეულში რომ ვერ მოხვდა, ეს მხოლოდ ტაქტიკის შერჩევითაა განპირობებული. რაულის არყოფნაში ბურთის მეტჩანს ფლობა გვჭირდება და საამისოდ სტივ მაკმანამანი ზედგამოჭრილია. ინგლისელი ზიდანს და გუტის კარგად უგებს. გუნდში ისეთი წვრილმანებიც არსებობს, რომელიც მხოლოდ მე ვიცი. „რეალის" ყველა ფეხბურთელს ვენდობი, თუმცა, სამწუხაროდ, მოედანზე სათამაშოდ მხოლოდ 11 კაცი გადის.

— ბოლო მატჩებში გუტის ხშირად ვხედავთ...

— გუტი ის კაცია, უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა რომ ხელეწიფება. მადრიდელი ქომაგი მას სათანადოდ აფასებს და ჩემი მწვრთნელობის პერიოდში მატჩების საერთო რაოდენობის 70-80 პროცენტი ითამაშა.

— თუ ასეა, ძირითად შემადგენლობაში ფეხი მყარად რატომ ვერ მოიკიდა?

— საამისოდ ყველანაირი წინაპირობა აქვს, მაგრამ მადრიდის „რეალში" უმძაფრესი კონკურენციაა, რომელიც ფეხბურთელებს აიძულებს, მუდმივად ადგილისთვის იბრძოლონ. ნებისმიერ სხვა გუნდში, დარწმუნებული ვარ, გუტი შეუცვლელი იქნებოდა.

— ისე ჩანს, თითქოს რაულის არყოფნაში ზიდანი თავდასხმაში გამწესეთ...

— მე ასე არ ვიტყოდი. მოდით, ზიდანის პოზიციის გარკვევას ნუ გამოვეკიდებით. რაულით თუ ურაულოდ „ზიზუ" გენიალური ფეხბურთელია.

— „იუვენტუსთან" საომრად უკვე ემზადებით?

— „იუვე" უდიდესი გუნდია. „სკუდეტო" ფაქტობრივად უკვე გაინაღდა და ახლა ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალზეა გადართული.

— კლუბთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებთ?

— მგონი, ეს მეორეხარისხოვანი საკითხია და მასზე ლაპარაკი არ მხურს.

დონატოს ბოდიში ვერ უშველის

წინა უქმეებზე „დეპორტივო" პალმა დე მალიორკაში ჩავიდა და იქაურ გუნდთან 0:3 წააგო, რამაც ლაკორუნიელთა საჩემპინო ამბიციას გვარიანი დარტყმა მიაყენა.

იმ მატჩში „დეპორტივოს" არ ჰყავდა ბებერი გაესპანელებული ბრაზილიელი მცველი დონატო. რომ ჰყოლოდა, სამ გოლს არ გაუშვებდაო, ვერ დავიჩემებთ, მაგრამ რატომ არ ჰყავდა, ამას კი მოგითხრობთ.

საქმე ის გახლავთ, რომ დონატომ გამგზავრების წინ მწვრთნელ ხავიერ ირურეტას გამოუცხადა, უჩემოდ წადით, მე ლა კორუნიიდან ფეხს არ გავადგამო. მიზეზად კი ის თქვა, მაინც იშვიათად მათამაშებთო. ირურეტასაც რა უნდა ექნა, „მალიორკასთან" სათამაშოდ დონატოს გარეშე წავიდა, ოღონდ იქამდე კლუბის უფროსობას ყველაფერი მოახსენა.

ახლა კი ასეა: კლუბი ფეხბურთელის დასჯას აპირებს, თუმც რა ფორმით, უფრო სწორად, რა თანხით, ჯერ ჯერ გადაუწყვეტია.

ამასობაში დონატო გონს მოეგო და ბოდიშიც მოიხადა: „მწვრთნელს ცხელ გულზე რაღაც ვუთხარი და ახლა ვნანობ. მართალი არ ვიყავი".

ხავიერ ირურეტა: „დონატო თავის შეცდომას მიხვდა და პირადადაც მომიბოდიშა. მისი მონანიება ჩემთვის საკმარისია და კონფლიქტს ამოწურულად ვთვლით, მაგრამ ვეჭვობ, კლუბის ხელმძღვანელობა ბოდიშით არ დაკმაყოფილდება".

ბოლოს კი ისიც გავიხსენოთ, რომ დონატო 40 წლისაა და პრიმერადივიზიონის უხუცესი მოთამაშეა. „დეპორტივო" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში რომ გასულიყო, საპასუხო მატჩისას დონატო ლიგაში ოდესმე მოთამაშე ფეხბურთელებთაგანაც უხუცესი შეიქნებოდა.

კოტე კეკელია

რეალი: ბექემი არ გვინდა!

მანჩესტერი: ესე იგი, უნდათ!



მსგავსი ჩახლართული ამბები, როგორც წესი, ასე მთავრდება: ერთ მშვენიერ დღეს დაუწკაპუნებთ კომპიუტერის ღილაკს და მონიტორზე ცინცხალი ამბავი დაგხვდებათ — მადრიდის „რეალმა“ იყიდა...

ასე იყო 1999 წელს, როცა „რეალი“ აცხადებდა, ვის რაში სჭირდება არსენალელი ანელკაო, მაგრამ სულ ცოტა ხანში ვენგერის ხელში გამოზრდილი ნიკოლა „სანტიაგო ბერნაბეუზე“ აღმოჩნდა.

ასე იყო შარშანაც, როცა იტალიური პრესა ყოველდღიურად წერდა, „რეალი“ რონალდოსთან საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებსო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ სამეფო კლუბმა ოფიციალურად განაცხადა, „ინტერის“ ბრაზილიელი ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენსო. ზუსტად 22 დღეში კიჭა რონალდომ თეთრი მაისურა მოირგო.

ჰოდა, მოდი და დაუჯერე მადრიდის „რეალის“ მიერ გუშინწინ საღამოს გამოქვეყნებულ ოფიციალურ წერილს: „ჩვენ არ გვაქვს არავითარი კონტაქტი მისტერ ბექემთან და არც არასდროს გვქონია. ჩვენი კლუბი ოფიციალური არხებით არასდროს აქარწყლებს მის გარშემო აგორებულ ჭორებს. ამ განცხადების მიზანი უბრალოდ ისაა, რომ განვაცხადოთ — „რეალსა“ და მისტერ ბექემს შორის მოლაპარაკებების შესახებ ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება“.

ჩვენ კი არა, ამ კომუნიკეს გულწრფელობაში ეჭვი თვით „იუნაიტედის“ თავმჯდომარემ პიტერ კინიონმაც შეიტანა და გუშინ თავისი მადრიდელი კოლეგა ფლორენტინო პერესი გააფრთხილა — ჩვენი კლუბის გვერდის ავლით ვერაფერს მოიგებთ და საერთოდაც, ბექემს არ ვყიდიო.

ამასობაში გუშინდელ ესპანურ პრესაში კვლავ გაჩნდა ცნობები, რომ ბექემიანთ ოჯახი მადრიდში შესაფერისი სახლის ყიდვას აპირებს.

მიდი და გაიგე.

გიგა კობახიძე

დავბერდი, დავჩაჩანაკდი...

პეტერ შმაიხელი ფეხბურთიდან ნათლობაში და ქორწილში მიდის



„მანჩესტერ სიტის“ დანიელი მეკარე პეტერ შმაიხელი კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას აპირებს. 39 წლის კაცი ბოლო მატჩს „სიტის“ შემადგენლობაში 11 მაისს გამართავს და ბუცებს ჩამოკიდებს. ორგანიზმი დასვენებას მთხოვს, უთქვამს დანიელ გოლიათს, სანამ მწვრთნელობას შეეჭიდები, მანამდე ოჯახს მივხედავ, ფეხბურთის გადამკიდე ცოლშვილისთვის ველარ ვიცლიო.

„ძალი ცხოვრების განმავლობაში ჩემი ოჯახის წევრების არაერთი დაბადების დღე, ნათესავების ქორწილი და ნათლობები გამიცდენია. გვარიანად მოლხენა მომენატრა. ოჯახის ვალი მაქვს და დრია, დავუბრუნო“ — თქვა მეკარემ.

შმაიხელმა დასძინა, რომ შვიდი ცხოვრება მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაშია კარგი, მერე კი მოსაწყენი ხდება. ამიტომაც ფეხბურთს აუცილებლად დავუბრუნდებიო: „ზაფხულში ვინებივრებ, მერე კი საქმეს მოვნახავ. ალბათ მწვრთნელობა ჩემთვის ზედგამოჭრილი იქნება. დავბერდი. დილაობით სხეულის გასახურებლად დაახლოებით ერთი საათი მჭირდება. ბედნიერებაა, როცა საყვარელ საქმეს ემსახურები, მაგრამ დავიღალე და აღარ შემიძლია. ყოველთვის ვამბობდი, რომ ფეხბურთიდან მაშინვე წავიდოდი, როგორც კი ამის დრო მომივიდოდა. ასე რომ, მეკარის კარიერა დავასრულე და ახლა სხვა გზა უნდა ვნახო. თუ ისეთივე საინტერესო საქმეს მოვძებნი, როგორიც მეკარეობაა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება“.

ბოლოს კი პეტერ შმაიხელმა თავისი ოცნება გაამხილა — „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელობა მსურსო.

ვაჟა ხუციშვილი

ფეხბურთის რუკასთან

გერმანული „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიცფელდმა განაცხადა, რომ სიამოვნებით აიყვანდა გუნდში „დეპორტივოს“ ჰოლანდიელ ფორვარდ რიი მაკაის. თანაც გავრცელდა ცნობა, რომ მაკაი „„დეპორთან“ კონტრაქტის დარღვევას ეშურება (2005 წლამდე აკავშირებს) და მიუნხენურ გრანდში თამაშიც დიდად სწადია, თუმც „ბაიერნის“ პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა გაზეთ „ბილდთან“ საუბარში თქვა: „არა მგონია, „ბაიერნი“ კიდევ ერთ თავდასმხმელს საჭიროებდეს“.

ფრანგული „სოშოს“ ნახევარმცველი ბენუა პედრეტი სეზონის ბოლო **გუნდს დატოვებს, მაგრამ კარიერას სად გააგრძელებს, უცნობია. პედრეტის პსჟ ეპატიჟება, თუმც ფეხბურთელი ჯერჯერობით დუმს. მას ინგლისში ან ესპანეთში თამაში ამოუჭრია გულში.**

არგენტინელი ფორვარდი ხუან ედუარდო ესნაიდერი ახალი სეზონიდან ესპანურ „სარაგოსაში“ აპირებს დაბრუნებას. ესნაიდერი ახლა ფრანგულ „აიაჩოში“ თამაშობს. ესპანეთში დაბრუნების სურვილი თავად გამოთქვა. იგი უკვე შეხვდა „სარაგოსას“ პრეზიდენტს და პირობებზე მოელაპარაკა.

ინგლისური „ნიუკასლის“ მწვრთნელ ბობი რობსონს „ბირმინგემის“ ფრანგ ფორვარდ კრისტოფ დიუგარისთვის დაუდგამს თვალი. ბრიტანულმა ტაბლოიდებმა ჯერ მხოლოდ სერ ბობის სურვილი გაამხილეს. მის გარდა კრისტოფ დიუგარის არაერთი გუნდი ეპატიჟება.

ფრანგი მეკარის, ფაბიენ ბარტეზის შემცვლელად „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს ახალი სეზონიდან ჩეხი გოლკიპერი პეტერ ჩეხი შეუგულებია. ფერგიუსონს ყელში ამოუვიდა ბარტეზის მოედანზე ჩადენილი ჯამბაზობანი, „რეალთან“ „მანჩესტერის“ მარცხი კი პირადად მას გადააბრალა. „ბარტეზი გუნდს აუცილებლად დატოვებს“ — ამბობს ფერგიუსონი. გადავა თუ არა ჩეხი „მანჩესტერში“, ზაფხულში შევიტყობთ. მეკარე ახლა ფრანგულ „რენში“ თამაშობს.

ინგლისურ „ლივერპულში“ ახალი სეზონიდან სავარაუდოდ ფრანგი მცველი ჟან-ალენ ბუმსონგი გამოჩნდება. „ოსერის“ ცენტრალური მცველი წლეულს კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს. მისდამი ინტერესი „ლივერპულის“ გარდა მარსელის „ოლიმპიკმაც“ გამოთქვა.

ბრაზილიელი ატირსონი, იგივე მაცოლი დე ოლივეირა, ტურინის „იუვენტუსის“ საკუთრებაა, ოჯარის წესით კი „ფლამენგოში“ თამაშობს. 26 წლის ფეხბურთელის გუნდში დაბრუნებით იტალიელები თავს არ იკლავენ და შესაძლოა, ბრაზილიელიც პრემიერლიგაში აღმოჩნდეს. ამბობენ, „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ბებერი ქალბატონის“ ბოსებს უკვე შეუთანხმდა, ახალი სეზონიდან ატირსონი ოჯარით წაიყვანოს, არენდისთვის კი 4,5 მილიონ სტერლინგს იხდისო.

ჰოლანდიელი ლუის ვან გაალი ვერ შეუთანხმდა ინგლისური „ფულემის“ ხელმძღვანელობას. „ბარსელონას“ ყოფილ მწვრთნელს შეთავაზებული პირობები არ მოეწონა. მუჰამედ ალ ფაიედს, „ფულემის“ მილიარდერ პრეზიდენტს, ჟან ტიგანას შემცვლელად ვან გაალი ეგულებოდა, ახლა კი სხვა კანდიდატურის ძებნა მოუწევს.

ესპანური მადრიდის „ატლეტიკოს“ პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი აცხადებს, ჩემს გუნდში სიამოვნებით გადმოვიყვანდი შვეიცარული „ბაზელის“ თურქული წარმოშობის თავდამსმელ ჰაკან იაკინსო. ესპანელმა ჟურნალისტებმა ჰილის სურვილი აიტაცეს, უმალ გაავრცელეს, თანაც დასძინეს, როგორც ჩანს, „ატლეტიკოში“ სეზონზულ საკადრო ცვლილებებს უნდა ველოდეთ, გუნდს სეზონის ბოლოს სულ ცოტა, 10 ფეხბურთელი დატოვებსო.

სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები, აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე

გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის, ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით, საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91

53-76-82 899 56-18-49

ინგლისი

პირველი დივიზიონი

გადადებული მატჩი

შეფილდ იუნ. 3:0 ბრედფორდი

1:0 ბრაუნი (60), 2:0 ნდლოვუ (64), 3:0 ბრაუნი (79ჯ)

პორტსმუთი	45	28	11	6	92:45	95
ლესტერი	45	26	13	6	72:39	91
შეფილდი	45	23	11	11	72:50	80
რედინგი	44	24	4	16	58:45	76
ვულვზი	45	20	15	10	80:43	75
ნოტინგემი	45	20	13	12	80:48	73
იფსვიჩი	45	18	13	14	76:63	67
ნორვიჩი	45	18	12	15	58:49	66
მილუოლი	45	18	9	18	57:69	63
უიმბლდონი	45	17	11	17	74:72	62
პრესტონი	45	16	13	16	68:68	61
კრ. პალასი	45	14	17	14	58:50	59
ნაირგვარ უკეთურობაში მხილებულთ არა მხოლოდ ფულად ჯარიმას აკისრებდნენ, არამედ მეტ-ნაკლები სიძულვილითაც უყურებდნენ იმისდა მიხედვით, თუ როგორი სიმძიმის დანაშაულში იყვნენ მხილებულნი. ყველაზე მეტ სიძულვილს იმსახურებდნენ ის ათლეტები, რომლებიც სარბიელზე მშობლიურ ქალაქს და თანაქალაქელებს ღალატობდნენ. ღალატად ითვლებოდა მშობლიური ქალაქის სპორტული ღირსების დაცვაზე უარის თქმა და სხვა ქალაქის სამსახურში ჩადგომა. ასეთ შემთხვევაში მოქალაქენი ივიწყებდნენ ათლეტის ძველ დამსახურებას, თუნდაც იგი მრავალგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ყველა სხვა პანათენური თამაშების გამარჯვებულიც ყოფილიყოს. ასეთ შემთხვევაში მოქალაქენი ამხობდნენ მოღალატე ჩემპიონის პატივსაცემად აღმართულ ძეგლს, თავად ათლეტს კი ქალაქიდან აძევებდნენ, რაც ძველი ბერძნებისთვის სასჯელის უმაღლეს ზომად ითვლებოდა და სიკვდილის ტოლფასი იყო.

ასე დაემართა კროტონელ მორბენალ ასტილს. როგორც ოლიმპიური ჩემპიონი, იგი დიდი პატივით სარგებლობდა და მის საპატივცემულოდ არა მხოლოდ ოლიმპიაში, არამედ თავის მშობლიურ ქალაქშიც ძეგლი იყო აღმართული. მერე მან კვლავ მოიპოვა ზეთისხილის რტო, რაც ძველი ბერძნებისთვის უმაღლესი ჯილდო გახლდათ, მაგრამ სრულიად მოულოდნელად თავი სირაკუზელად გამოაცხადა, რაც, რაღა თქმა უნდა, უანგაროდ არ გაუკეთებია. აღშფოთებულმა კროტონელებმა უმალ დაივიწყეს ასტილის ძველი დამსახურებანი, მისი ქანდაკება დაამხეს, სახლი კი სატუსაღოდ აქციეს. ეს ყველაფერი ლმობიერი სასჯელი იყო იმასთან შედარებით, რაც კრეტელ სოტადს დაამართეს.

სოტადმა თავი 99-ე ოლიმპიურ თამაშებში გამოიჩინა, როცა გრძელ მანძილზე რბენაში ყველას ავჯობა. თანამოქალაქეთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ სოტადმა კრეტელებს ცივი წყალი გადაასხა, როცა ეფესელთა მიერ მოსყიდულმა ახალგამომცხვარმა ჩემპიონმა თავი მათ თანამოქალაქედ გამოაცხადა.

ამით აღშფოთებულმა კრეტელებმა სოტადს სამუდამო გაძევება მიუსაჯეს, რაც ბერძენთათვის, როგორც ვოქვით, სიკვდილის ტოლფასი იყო. ზურგშექცეული და გაძევებული სოტადი მთელი ცხოვრება ნანობდა თავის საქციელს და პატიებას ითხოვდა. მისი მუდარა მაშინღა შეისმინეს, როცა მოხუცდა და მთლად გაჭაღარავდა.

ავთანდილ გურასაშვილი

საქართველოს 12 ჩემპიონატი

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი. პირველი წრე რა მოგებამდე

დღეს მე-12 ეროვნული, წინამორბედებივით ტანჯული ჩემპიონატი პლეი ოფს იწყებს. არაერთხელ გვითქვამს და საერთოდაც თქმა და შენიშვნა რად უნდა — ჯალათბურთი ჩვენში მხოლოდ სულდგმულობს. ჯერ არ ჯვდება, მაგრამ ვერც იზრდება. იზრდებიან მხოლოდ ცალკეული, ნიჭიერი ბიჭები და საშინელება ისაა, აქედან მანამდე გარბიან, სანამ ბოლომდე გაიზრდებიან...

კალათბურთი პლეი ოფშიც გაისეირნებს

მეოთხეფინალი

დინამო (1) — სსუ (8)
ბასკო (2) — ძუთაისი (7)
სტუ (3) — მაკაბი (6)
აზოტი (4) — თსუ (5)

...იმას ვჩიოდით, დონე ძალზე დაბალიაო და თავს იმითღა ვინუგეშებდით, თამაშებს სპორტული ღაძაბულობა მაინც ახლავსო. მე-12 ეროვნულში ეს დაძაბულობაც გაილია და მას პლეი ოფშიც ნაკლებად მოველით. არადა, სიტყვა პლეი ოფი შინაარსით სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის, პირველობისთვის, არგავარდნისთვის და სხვა არაერთი ღირებულისთვის ბრძოლას ნიშნავს. დაძაბულობა არ იქნება, ყოველ შემთხვევაში პლეი ოფის პირველ წრეში მაინც, სადაც ოთხი წყვილიდან სამში უკვე ყველაფერია გარკვეული, შეიძლება ითქვას, ცნობილია ანგარიშიც. გამოვრიცხოთ სასწაულები და ვთქვათ ეს ანგარიშები — „დინამო“, „ბასკო“ და სტუ 2:0 დაამარცხებენ შესაბამისად სსუ-ს, „ქუთაისს“ და „მაკაბის“. ნუ ჩათვლით ამას ჩვენს სურვილად, პირიქით, იმას ვისურვებდით, მეორე სამეულს მეტოქეთათვის ღირსეული წინააღმდეგობა გაეწიოთ, ხოლო საკალათბურთო მაყურებლისთვის კარგი თამაში შემოეთავაზებინოთ. ჯერჯერობით ეს გუნდები იმას თუ ახერხებდნენ, რომ ერთმანეთს უგებენ რეგულარულში. აი „აკადემია“ რომ მოხვედრილიყო პლეი ოფში, იქნებ დავლოდებოდით სენსაციას. ამ ახალგაზრდულმა კი არა და, უფრო ბავშვურმა გუნდმა სეზონის ბოლოს მოუმატა და სულ ცოტა დააკლდა პლეი ოფში მოხვედრამდე.

პირველი წრის ინტრიგა მხოლოდ მეოთხე წყვილში დევს. რუსთავის „აზოტი“ და სახელმწიფო უნივერსიტეტის მარად საშუალო გუნდი რეგულარული ჩემპიონატის ოთხი წრის განმავლობაში ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს მეოთხე ადგილისთვის და ბოლოს ისევ რუსთაველებმა იძალეს. მართალია, „აზოტი“ სხვა ფავორიტებისგან განსხვავებით ვერ გაექცა ანგარიშგასაწევ მეტოქეს, თუმც ნუგეშად ის დაურჩება, რომ პირველ შეხვედრას შინ ქიმიკოსთა პატარა, მაგრამ ხმაურიან დარბაზში გამართავს და თუ საჭირო გახდა, თსუ-ს მესამე შეხვედრაშიც იქ მიიღებს. წლეულს „აზოტი“ მაინც დამცხრალი ამბიციებით ხვდება პლეი ოფს, თუმც თსუ-ს ბარიერის დაძლევის ილავჯი კი შერჩა და ამ საქმეში პირველ რიგში ყოფილი თსუ-ელი არრილ ჟღენტის იმედი აქვს. ჟღენტმა რამდენიმე კარგი თამაში ჩაატარა და ვინძლო, ფორმის პიკზეც ახლა იდგეს.

ამ წყვილში გამარჯვებული მეორე წრეში, ანუ ნახევარფინალში ხახაში უვარდება რეგულარულის გამარჯვებულსა და პლეი ოფშიც მთავარ ფავორიტ „დინამოს“, რომელსაც ახალი მწვრთნელის დრაჟენ ბრაიკოვიჩის ხელში სათამაშო ტემპი და მონდომება მოემატა.

ყოველგვარი ტვინის ჭყლეტვისა და ტაქტიკური გათვლების გარეშე (საქართველოში ტაქტიკა არსებობს?) გამოიცნობა მეორე ნახევარფინალური წყვილი. პირველ წრეში ბათუმის „ბასკო“ „ქუთაისს“ დაჯაბნის (სხვათა შორის ამ წყვილის ყველა თამაში ბათუმში გაიმართება, რაკი „ქუთაისს“ საკალათბურთო ბინა „ბასკოს“ დარბაზი დაუდია), ხოლო სტუ იოლად გაივლის „მაკაბის“ წინააღმდეგობას. ამ უკანასკნელმა რეგულარულის ბოლო 14 თამაში წააგო და პლეი ოფის რვა მონაწილეთაგან უსუსტესად ჩაითვლება. რაც შეეხება „ბასკოს“ და სტუ-ს მომავალ ნახევარფინალურ ჯგახს, აი, ეს თამაშები კი მიიზავს ინტერესს. „ბასკო“ ბოლო სამი სეზონის ჩემპიონია და ახლაც რიგიან ფორმაშია. ამ მხრივ არც სტუ დაიწუნება. ტექნიკოსთა გუნდი საკმაოდ შეკრული და შეხმატკბილებულია, ასე რომ ფინალისთვის ბრძოლას ნებით არ დააკლდება.

ირაკლი ფირაყვილი

პირველი წრის კალენდარი

1 მაისი — ხუთშაბათი	
სტუ-ჯეოსელი — მაკაბი	14.00
ბასკო — ძუთაისი	18.00
2 მაისი — პარასკევი	
მაკაბი — სტუ-ჯეოსელი	14.00
ძუთაისი — ბასკო	11.00
3 მაისი — შაბათი	
დინამო — სსუ	14.00
აზოტი — თსუ	17.00
4 მაისი — კვირა	
სსუ — დინამო	14.00
თსუ — აზოტი	16.00
თუ საჭირო გახდა	
სტუ-ჯეოსელი — მაკაბი	18.00
ბასკო — ძუთაისი	11.00
6 მაისი — სამშაბათი	
დინამო — სსუ	14.00
აზოტი — თსუ	17.00

პირველ წრეში ბრძოლებს მხოლოდ „აზოტ“ — თსუ-ს წყვილში წააწყდებით

ბ. ფარაგ დილანდაგვილის ფოტო

NBA PLAY OFF პირველი წრე ოთხ მოგებამდე

მალიარი ხარ, ბიჭო?!
ჯეისონ კიდი პიკასოს არ ედრება

29 აპრილი

აღმოსავლეთი

ნიუ ჯერსი 3:2 მილუოკი

ნიუ ჯერსი 89:82 მილუოკი

ნიუ ჯერსი: კიდი (19), კიტლზი (15), ჯეფერსონი (17 ქულა, 16 მოხსნა), მარტინი (9 ქულა, 10 მოხსნა), კოლინზი (9); ბარისი (8), უილიამსი (6), ჯონსონი (4), როჯერსი (2)
მილუოკი: პეიტონი (16), კასელი (16), დ. მეისონი (14 ქულა, 12 მოხსნა), ტომასი (9), ჯონსონი; კუკოჩი (18), რედი (6), ე. მეისონი (3)

ეს იყო საძაგელი თამაში, რომლის ბილეთშიც ათი დოლარის მიცემა დაგენანება, თუნდაც 100 ღირდეს. საქმე ისაა, რომ კაცმა არ იცის, რამდენად ულიმღამო გამოდგება მატჩი, ამიტომაც დიდქალაქის გარეუბნელებმა, რომელთაც მხოლოდ ეს ორი წელია, დიდი კალათბურთი იხილეს, ბეჯითად შეავსეს „ნიუ ჯერსის“ შინაღარბაზ „ეალაინზ არენას“ ტრიბუნები და იმით მაინც დარჩებოდნენ კმაყოფილნი, რომ მათმა „ნეთსმა“ დაამარცხა აბეზარი „მილუოკი“ და სერიაში 3:2 დაწინაურდა.

თამაში რომ სანახაობად ვერ იქცა, ამ საქმეში თავისი წილი აგური ორივე გუნდის ყველა მოთამაშემ დადო. შეხვედრა წამდაუწუმ ჩერდებოდა, რათა მსაჯებს ტექნიკურით დაეშოშმინებინათ. მძელავრე მოთამაშეები. მათ შვიდ კალათბურთელზე და ერთ მწვრთნელზე („მილუოკის“ ჯორჯ კარლი) გასცეს ტექნიკური. აი, კიდევ ციფრები: მათ 62-ჯერ დააჯარიმეს ამა თუ იმ გუნდის მოთამაშეები. 70 საჯარიმო იქნა ნასროლი და თამაშიდან უამრავი სროლა აცილებული.

„ეს ყველაფერი გასაგებია. ჩვენ გადასარჩენად ვიბრძოდით და ესთეტიკისთვის და სილამაზისთვის არავის გვეცალა. არც ვედრებით პიკასოს, თუ მაინცდამაინც ხელოვნებას შევადარებთ. ეს თამაში იყო ჩემი ბიჭის, თიჯეის ნახატი, ბავშვი რომ თითს ჩააწობს საღებავში და რაღაცას დაჯღაბნის — ამბობდა ნამატჩევს გამარჯვებულთა ლიდერი ჯეისონ კიდი — ასეთ თამაშებში ერთადერთი, რაც გინდა, გამარჯვებაა და ჩვენც გავიმარჯვეთ“.

ინდიანა 2:3 ბოსტონი

ინდიანა 93:88 ბოსტონი

ძირითადი დრო 88:88

ინდიანა: ტინსლი (2), რ. მილერი (8), არტესტი (26 ქულა, 10 მოხსნა), ონილი (19 ქულა, 22 მოხსნა), ბ. მილერი; მერსერი (13), ჰარდვეი (13), ფოსტერი (8), ჰარინგტონი (4), კროშერი
ბოსტონი: დელკი (19), პირსი (16), მაკკარტი (13), უოლკერი (21), ბათი (4); უილიამსი (5), ბლუნტი (5), ბრემერი (5)

ამ სერიის მეხუთე მატჩში ნბა-ში მანამდე გაუგონარი რამ მოხდა — ოვერტაიმის ხუთ წუთში გუნდმა ქულაც ვერ გააკეთა. „ბოსტონმა“ დამატებითი ხუთწუთეული 0:5 წააგო „ინდიანასთან“ და მეორე წრეში გამსვლელი ბილეთის რიგში დგომა ორი დღით გაიხანგრძლივა.

„ბოსტონის“ ლოკომოტივს პოლ პირსს, როგორც იქნა, ჩაუვარდა თამაში. მან 21 სროლიდან 16 გააფუჭა და მხოლოდ 16 ქულა დაახმარა თავისიანებს. პირსის ცუდ თამაშს თავის დამსახურებად იჩემებს ინდიანელი რონ არტესტი და სამართლიანადაც. ის მთელი მატჩის განმავლობაში ლანდივით დასდევდა ბოსტონელთა ლიდერს და მეოთხე მეოთხედის ბოლოს, უკვე 88:88 ანგარიშზე ლაზათიანადაც დაუფარა.

მეექვსე თამაშს „ბოტონი“ უმასპინძლებს და აუცილებლად ეცდება, საქმე იქ მოამთავროს. მით უფრო, რომ შინ კარგად მისდის თამაშები. „ამ გუნდს მეტ შანსს აღარ მივცემთ. ყველაფერს მეექვსე თამაშში მოვამთავრებთ“ — პირსი დარწმუნებულია „სელტიქსის“ გამარჯვებაში.

დასავლეთი

სან ანტონიო 3:2 ფინიქსი

სან ანტონიო 94:82 ფინიქსი

სან ანტონიო: ბარკერი (7), ჯეკსონი (8), ბოუენი (4), დანკანი (23 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი, 5 დაფარება), რობინსონი (10); როუზი (27 ქულა, 13 მოხსნა), სმიტი (6), კლაქსტონი (5), ჯინობილი (4)
ფინიქსი: მარბერი (13), ჰარდვეი (16), მარიონი (22), სტუდემაიერი (14 ქულა, 14 მოხსნა), უილიამსი; ვოსკული (7), ჯეკობსენი (6), აუთლოო (4), ჯონსონი

„ფინიქს სანზს“ დასაკარგი არაფერი მოეძევება, „ფინიქსის“ მილიონერი პატრონი ჯერი კოლანჯელო არ დაკოფავს და, მით უმეტეს, არც ხელფასს დაუქვითავს თავის მოთამაშეებს ლიგის ყველაზე გამართულ გუნდთან დამარცხებისთვის. ჰოდა, ფინიქსელებსაც თამაშისას ზურგზე არ ჰკიდიათ პასუხისმგებლობის კილოგრამები. თავისუფლად დანავარდობენ და ორი გამარჯვებაც ააცალეს ამხელა მეტოქეს.

ახლაც „სან ანტონიომ“ პირველი მეოთხედი 27:14 მოიგო, მეორე — 27:16 და თავი ქუდში შეყო, მაგრამ „ფინიქსი“ მეორე ტაიმში ისე დატრიალდა, მასპინძლებს ბოლო წუთებში ერთი-ორი საჯარიმო რომ აეცილებინათ, საქმე სხვაგვარად შეტრიალდებოდა. „ფინიქსმა“ მეორე ტაიმის პირველი წუთები 19:5 მოიგო და სხვაობა 10 ქულაზე დაიყვანა. სტუმრები მატჩის ბოლოსაც მიეძალნენ მასპინძლებს და 79:84 ანგარიშითაც წამოადგნენ თავზე, როცა დამთავრებამდე ორი წუთიც არ რჩებოდა.

სხვაფრივ აღსანიშნავია, რომ „სან ანტონიომ“ სერიაში პირველად შეძლო, პირწმინდად მოეგო მეტოქის ფარი. მასპინძელთა მაღლებმა — ტიმ დანკანმა, დევიდ რობინსონმა და მალიქ როუზმა ჯამში 60 ქულა, 39 მოხსნა და 8 დაფარება გაიღეს „სფურზის“ საკეთილდღეოდ.

მინესოტა 2:3 ლეიკერსი

მინესოტა 90:120 ლეიკერსი

მინესოტა: ჰადსონი (14), პილერი (2), შჩერბიაკი (9), გარნეტი (25 ქულა, 16 მოხსნა), ნესტეროვიჩი (13); გილი (10), ჯეკსონი (9), ტრენტი (4), სმიტი (2), ვუდსი (2), ვილკსი, სტრიკლენდი
ლეიკერსი: ფიშერი (24), ბრაიანტი (32), ჯორჯი (12), ჰორი (12), ონილი (27 ქულა, 11 მოხსნა); რაში (5), მადსენი (4), შოუ (2), უოლკერი (2), ბარგო, მედვედენკო

„აი, ასეთ გუნდს ვაღიარებ მე. ვაკონტროლეთ ბურთი, შევამციროთ დაკარგვები, ვიყავით აგრესიულები და თავს პირველები ვესხმოდით მეტოქეს“ — ნამატჩევს მშვენიერ ხასიათზე იყო „ლეიკერსის“ თავი ფილ ჯეკსონი. მისმა გუნდმა ამ ჯერზე პირწმინდად დაჩაგრა მეტოქე. 30 ქულით დაიფრინა „მგლები“, თან მათსავე უღრანებში, ჩემპიონი „ლეიკერსის“ შესაზარად ავად აბობოქრებულ „ტარჯეტ სენთერში“. მაგრამ „მგლები“ ვერ გრძნობდნენ თავს შინაურულად, მხოლოდ კევინ გარნეტი აკრაჭუნებდა კბილებს, სხვები კი მეტოქეს ფეხებშუა ამოჩრილ კუდს უჩვენებდნენ, განსაკუთრებით დაბლები, რომლებიც „ლეიკერსის“ უკანახაზელების — კობი ბრაიანტის და დერეკ ფიშერის ყოველ გასროლაზე თრთოდნენ.



ჯეისონ კიდი კალათბურთს ისე თამაშობს, როგორც მისი ექვსი წლის შვილი ტიჯეი ხატავს



ბოლო სამი ფინალის მომგებ „ლეიკერსს“ თავიდანვე ჰქონდა მკაფიო სათამაშო უპირატესობა და ეს მეორე ტაიმში ანგარიშშიც შესაბამისად ასახა.

„მინესოტა“ 2:3 ჩამორჩა სერიაში და ალბათ წააგებს კიდეც „ლეიკერსთან“ ომს. ასეთ შემთხვევაში „მგლები“ ზედიზედ მეშვიდედ გავარდებიან პლეი ოფის საწყისი რაუნდიდან. ფილ ჯეკსონმა თქვა, გული ცუდს მიგრძნობს ჩემი მინესოტელი კოლეგის, ფლიპ სანდერსის გამო.

ძოტე ყორშია



წლის მწვრთნელი — გრეგ პოპოვიჩი

სანამ „სან ანტონიო“ „ფინიქსს“ შინ მეხუთე თამაშს მოუგებდა და სერიაში 3:2 დაწინაურდებოდა, სანანტონიოელებმა სხვა სასიამოვნო ამბავი შეიტყვეს — „სფურზის“ მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა ჟურნალისტთა გამოკითხვაში ყველა ზე მეტი ხმა მიიღო და 2002-03 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა

ჩემი ჯილდო შენა ხარ
გრეგმა და ბობმა ტიტული გადადეს და საქმეს მიხედეს

პოპოვიჩს ამ ტიტულის გარეშეც გარანტირებული ჰქონდა კლუბის ისტორიაში საუკეთესო მწვრთნელად შესვლა. ის პირველი სანანტონიოელია, ვისაც ეს ჯილდო შეხვდა. მან მადლობა მოუხადა ჟურნალისტებს, შრომა რომ დაუფასეს, თუმც ერთ-ერთ მათგანთან ნაუცბათევ საუბარში ბრძანა, ამ ტიტულს სიამოვნებით გავცვლიდი „ფინიქსთან“ მე-4 შეხვედრის მოგებაშიო. პრაგმატული კაცია პოპოვიჩი და სიმბოლურ ტიტულებს ნაღდი გამარჯვებები ურჩევნია. ასეთი რომ არ ყოფილიყო, ვერ აჯობებდა გოლდენსტეიტელ ერიკ მუსელმანს (მეორე ადგილი გამოკითხვაში), იუტელ ჯერი სლოუნს (მესამე ადგილი), დეტროიტელ რიკ კარლაილს (მეოთხე ადგილი) და სხვა ნბა-ელ კოლეგებს. და საერთოდაც სადღეისოდ არც იქნებოდა „სფურზის“ სათავეში.

პოპოვიჩი შვიდი წელია „სან ანტონიოს“ წვრთნის და წლეულს მისი აღიარება ამ შვიდი წლის ნამუშევრის დაფასებაცაა. თვალსაჩინოა მისი თავისი გუნდისადმი დამსახურება. პოპოვიჩმა მიიყვანა „სან ანტონიოში“ 1997 წელს ტიმ დანკანი, მან მოაგებინა 1999 წელს გუნდს პლეი ოფი და მანვე ბევრი სხვა დიდ-პატარა სიხარული აჩუქა სამხრეთ ტეხასის მცხუნვარე ქალაქის მილიონნახევარ ბინადარს. წლეულს „სან ანტონიომ“ ზედიზედ მესამედ იპირველა დივიზიონში (საერთოდ ლიგაშიც), რასაც სეზონის დასაწყისში ცოტა ივარაუდებდა. თანადივიზიონელი „დალასი“ ბევრი გამარჯვებით უსწრებდა „სან ანტონიოს“, მაგრამ პოპოვიჩის გუნდმა საბოლოდ „დალასივით“ 60 გამარჯვება დააგროვა და პირად შეხვედრებში უპირატესობის წყალობით ცხრილშიც გამეფდა. „სფურზმა“ 1 იანვრის აქეთა 50 თამაშიდან 41 მოიგო.

ამ დღეებში ამერიკელმა და კანადელმა საკალათბურთო ჟურნალისტებმა კიდევ ერთი ინდივიდუალური ტიტულის პატრონი გამოავლინეს. „საკრამენტო კინგზის“ სათადარიგო გამთამაშებელმა ბობი ჯეკსონმა მეექვსე მოთამაშის პრიზი, ანუ წლის საუკეთესო სათადარიგოს სარგო ჯილდო მიიღო.

ჯეკსონი შარშან ამ გამოკითხვაში მეორე იყო, ახლა კი მან შარშანდელ ლაურეატ კორლის უილიამსონსაც (დეტროიტი) იოლად აჯობა, ანდრეი კირილენკოსაც (იუტა), მაიკლ რედსაც (მილუოკი) და სეზონის ყველა სხვა სათადარიგოსაც.

ამ სეზონში ჯეკსონი მატჩში საშუალოდ 15,2 ქულას იხვეჭდა და ექვსწლიან კარიერაში უდავოდ საუკეთესო სეზონი გამოუვიდა. არადა, დიდი შანსი იყო, მთელი წელი ჩავარდნოდა. მან იანვარში ტრავმა მიიღო და 20 თამაში გამოტოვა. შემდეგ დედა გარდაეცვალა, მაგრამ ჯეკსონი მუშაობდა ბევრს, თამაშობდა კარგად და აი, ჯილდოც შეხვდა. „ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი დედაჩემს ვუძღვნიდი. ის ზემოდან მიყურებს და ჩემს გამო ბედნიერი იქნება.“

თავად იმ ფაქტს, რომ მას ექვსი ინდივიდუალური ჯილდოდან ყველაზე მცირე — საუკეთესო სათადარიგოს პრიზი შეხვდა, ჯეკსონი დამცირებად არ თვლის, განსხვავებით ამ ჯილდოს ბევრი მანამდელი მფლობელისგან. „შეცვლაზე შესვლა ოპტიმალური როლია ჩემთვისაც და გუნდიც ასე მეტად სარგებლობს. მე არ ვჩივი, დავიწყებ თუ არა თამაშს. უფრო მეტად თამაშის დასრულება მაინტერესებს“ — ამბობს ჯეკსონი. ბოლო წამებზე, როცა ნერვები ტროსივით იჭიმება და სუპერვარსკვლავებიც ბავშვებივით ცდებიან, მწვრთნელი რიკ ადელმანი ბოლომდე ენდობა მას და ჯეკსონისთვის ეს უფრო მეტი დაფასებაა, ვიდრე რაიმე ოფიციალური ჯილდო.



სეზონის მეექვსე მოთამაშე — ბობი ჯეკსონი

ძოტე ყორშია



ბრა ახალაძის ფოტო

ლეონსიო მალე ქირურგთა დანის ქვეშ დაწვება

ლევან ცაბაძეს დააძინებენ და თავიდან აანყობენ

საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი ლევან ცაბაძე მომავალ ორშაბათს ფრანგ ქირურგებს ჩაბარდება. „ლეონსიოს" საზარდულის და თან მენისკის ოპერაციას გაუკეთებენ. ამ უქმეებზე კი ცაბაძე წლევანდელ სეზონში ბოლოსლა მიაწვება მისი „მონფერანის" მეტოქეებს

— პარასკევს რენტგენს გადაიღებენ, მერე სისხლის ანალიზი და ამგვარი პროცედურების გაკლა მომიწევს. ოპერაციას ორშაბათს გამიკეთებენ. აღმოჩნდა, რომ საზარდულის გარდა მენისკიც მაქვს, ასე რომ, ორშაბათს ერთბაშად ორი ოპერაცია ჩამიტარდება — გვითხრა ცაბაძემ, საფრანგეთში რომ შევეხმიანეთ.

— ერთად ორი ოპერაცია იშვიათი ამბავია...

— აქაურ ექიმებს ბოლომდე ვენდობი. ჩემნაირი ათასი ჰყოლიათ და საპრეტენზიო არავის ჰქონდა. გუნდელები მეხუმრებიან, დაგაძინებენ და თავიდან აგაწყობენო.

— სარეაბილიტაციო პერიოდს რამდენი ხანი დასჭირდება?

— ექვსიდან რვა კვირამდე. ქირურგები გარანტიას მაძლევენ, რომ მაქსიმუმ რვა კვირაში თამაშს შევძლებ, შეიძლება მანამდეც.

— საფრანგეთის ჩემპიონატში ბოლო ოთხი მატჩი ითამაშე, ტრავმები ხელს არ გიშლის?

— არა, მაგრამ ერთიცაა, არავინ იცის, როდის გამიჩერდება მუხლი. ელიტაში ადგილი უკვე დავიბეჭეთ და კვირას წლევანდელ სეზონში ჩემს ბოლო მატჩს ვითამაშებ. ახლა თავისუფლად შემიძლია, თავსაც მივხედო.

— შენი თანაკლუბელი დავით აშვეთია როგორაა? ისიც ტრავმირებული იყო.

— დათო გამოჯანმრთელდა და აწი ითამაშებს. მომდევნო ტურში მწვრთნელი ორივეს სასტარტო შემადგენლობაში დაგვაყენებს. მერე მე ქირურგებს დავუწვები, აშვეთია კი დარჩენილ ოთხ მატჩშიც შეეშველება „მონფერანს".

ბაჩო სვანიძე

არ მომკვდარა, აღარც სძინავს

ფიგურულ სრიალში ერთი დიდი კაცი იყო, კანადელი ელვის სტოიკო. მას არასდროს მოუგია ოლიმპიადა, მაგრამ სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ეს პატარა ამბავი არ არის.

შესავალი ისეთი გამოგვივიდა, ვინძლო იფიქრეთ, მომკვდარა საწყალიო. არა, ელვის სტოიკო ცოცხალია, ჯანზეა და სპორტში დაბრუნებასაც აპირებს.

სტოიკო საერთაშორისო პოდიუმზე პირველად 1991 წელს ავიდა, მსოფლიოს ჩემპიონი კი 1994, 95 და 97 წლებში გახდა. ორჯერ, 1994 და 98 წლებში, ოლიმპიადაზე მეორე იყო, ხოლო ბოლო წარმატებას სამი წლის წინ მიაღწია, როცა მსოფლიოს ჩემპიონატის ჯერცხლი ირგუნა.

ამის მერე კანადელის კარიერა დაღმა დაეშვა, ერთ ხანს ტრავმები სტანჯავდა, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადაზე კი მერვე იყო და სპორტიდანაც წავიდა.

თუ დავიანგარიშებთ, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადიდან დღემდე 14 თვე გამოხდა და სტოიკოს, რომელიც ახლა 31 წლისაა, ენერგიის ისეთი მოზღვავება უგრძნია, ყინულზე დაბრუნებას აპირებს. მისმა მენეჯერმა თქვა, ისეთ ფორმაშია, კარიერის საუკეთესო წლებში რომ იყო. მეტიცო, იმაზე უკეთეს ფორმაშიაო.

ელვის სტოიკოს დაბრუნება შემოდგომისთვისაა დაგეგმილი, ჩვენ კი დავძინოთ, რომ მას უბადლო ტექნიკა ჰქონდა, არტისტიზმში კი ცოტა მოიკოჭლებდა.

თეიმურაზ უშაკოვი

უბადლო ტექნიკოსი ელვის სტოიკო დიდ ყინულს უბრუნდება

NHL სტენლის თასი. მეორე წრე

ოთხ მოგებამდე

დაგინებული არაფერია: ვერ გაიტანე, მერე გაიტან

28 აპრილი

აღმოსავლეთი

ოტავა 2:1 ფილადელფია

ფილადელფია 2:3 ოტავა 1:0 1:1 0:1 0:1

1:0 ლეკლერი (5), 1:1 ალფრედსონი (22), 2:1 კაპანენი (33), 2:2 ბოსა (41), 2:3 რედენი (67)

ღმერთი სამობითაა. ოვერტაიმში უპირატესობა აშკარად ოტავას მხარეს იყო, მაგრამ ჯერ მარიან ჰოსამ ვერ შეძლო ფილადელფიელთა მეკარე რომან ჩეხმანეკის მოტყუება, მერე კი გოლკიპერმა კარელ რაჩუნეკის ერთობ სახიფათო დარტყმა მოიგერია. ყოველთვის ზარალდება გუნდი, რომელიც მომენტებს ვერ იყენებს, მაგრამ ამჯერად ილბალი ოტავას უღიმოდა და მესამე საოვერტაიმო შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. უეიდ რედენის დარტყმა უზუსტესი აღმოჩნდა — შაიბა მეკარესა და ძელს შორის გააძვრინა. აქამდე ოტავას არასდროს მოუგია მატჩი, რომლის ორი პერიოდიც მარცხით დაასრულა, თუმც საბოლოო გარდატეხაზე ლაპარაკი ნაადრევია. როგორც ჩანს, ეს სერია გაიწელება.

დასავლეთი

ვანკუვერი 2:1 მინესოტა

მინესოტა 2:3 ვანკუვერი 1:1 1:2 0:0

0:1 მორისონი (7), 1:1 კუბა (12), 1:2 ფოვანოვსკი (25), 2:2 გაბორიკი (31), 2:3 დ. სედინი (33)

„გაწბილებული ვარ. ძალიან კარგად ვითამაშეთ და მოგებას ვიმსახურებდით. თუმც ბრძოლა ხომ ახლა იწყება" — თქვა მატჩის შემდეგ მინესოტელთა თავკაცმა ჟაკ ლემერმა. გამოცდილი სპეციალისტი, ვგონებთ, ცდება. ამ გუნდების შერკინებამ უკვე მიაღწია ემოციურ მწვერვალს. სერიის მეხუთე მატჩი საუცხოო სანახავი გახლდათ. მეტოქეები ხარებივით შუბლით შეასკდნენ ერთმანეთს. ამ შერკინებას სათავე უკვე მე-5 წამზე (!) დაედო, როცა მინესოტელი მარკ ჯონსონი და ვანკუვერელი ბრედ მეი შეიბნენ. ამგვარი შეხლა-შემოხლა მთელი თამაშის განმავლობაში გაგრძელდა. მატჩის ბედი კი რიცხვმრავლობისას გადაწყდა — ხუთივე შაიბა მაშინ გავიდა, როცა ერთ-ერთი მეტოქე კაცნაკლული დარჩა. ბოლო სიტყვა სტუმრებმა თქვეს, როცა დანიელ სედინმა ტყუპისცალ ჰენრიკის გადაცემა ოსტატურად გამოიყენა.

მსოფლიოს ჩემპიონატი. ფინეთი

26 აპრილი — 11 მაისი

ჯერ ყველაფერი ისე რა...



REUTERS. ტასბრუნდან

ფინეთში გაბითურებულ ამერიკელებს უსამა ბინ ლადენიღა აკლდათ

ჩემპიონატის მეოთხე დღეს ბობოლათა ჯახიც შედგა. მართალია, კანადისა და შვედეთის გუნდებმა მანამდე გაინაღდეს მეორე ეტაპზე გასვლა, მაგრამ გამარჯვებულს მომდევნო რაუნდში ეს ქულები ერიცხება. თან ამ მეტოქეთა პრინციპული ურთიერთობა ხომ ისედაც ცნობილია. თამაშმა მოლოდინი საკუთრივ გაამართლა. მიუხედავად ქომაგთა მხურვალე მხარდაჭერისა (შვედეთი ხომ ფინეთის მეზობელი ქვეყანაა და თამაშს უამრავი „ვიკინგი" ესწრებოდა), შვედებმა თავიდან ვერ შეძლეს თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება. უფრო მსუბუქად მოსრიალე კანადელების უპირატესობაც გამოიკვეთა. ეს მათი ლიდერის, დანი ჰიტლის ჩემპიონატზე გატანილმა მე-9 გოლმაც დაადასტურა. მეორე პერიოდის შუახანს შვედებმა ბრწყინვალე შანსი გაუშვეს ხელიდან — ტომას როდინმა ძელს გაარტყა და რამდენიმე წუთში ვერგამტანები დაისაჯნენ კიდეც. დანიელ ბრირმა სხვაობა ორამდე გაზარდა და კანადელებმა ეს უპირატესობა შეინარჩუნეს. თამაშს განსაკუთრებული ელფერი პეტერ ფორსბერგისა და კრის დრეიპერის დუელმა შესძინა. ეს ორი მოთამაშე ბრწყინვალედ იცნობს ერთმანეთს, ვინაიდან კოლორადოსა და დეტროიტში არაერთხელ უთამაშიათ ერთმანეთის წინააღმდეგ. მიუხედავად ფორსბერგის გოლისა, დრეიპერმა მთლიანობაში კარგად გაართვა თავი ამოცანას, ამოკეტა ვიკინგების ლიდერი და თავკაცების ქებაც დაიმსახურა.

წესით, დღის კიდევ ერთი თამაში უნდა ყოფილიყო ფრიად საინტერესო, რუსეთი — აშშ. ამერიკელებმა ორი ფიასკოს შემდეგ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი დაკარგეს და მათთვის რუსებთან ღირსეული თამაში თავმოყვარეობის საქმე იყო. მათ დიდი ბრძოლაც გაუმართეს ფავორიტს და მხოლოდ ილია კოვალჩუკის ბრწყინვალე სოლოს შემდეგ გატყდნენ.

29 აპრილი

A ჯგუფი

გერმანია 3:1 უკრაინა

სლოვაკეთი	2	0	0	19:4	4
გერმანია	2	0	0	8:5	4
უკრაინა	0	0	2	4:12	0
იაპონია	0	0	2	5:15	0

B ჯგუფი

რუსეთი 3:2 აშშ

შვეიცარია 2:2 დანია

რუსეთი	3	0	0	14:5	6
შვეიცარია	2	0	1	9:7	4
დანია	1	0	2	8:14	2
აშშ	0	0	3	4:9	0

C ჯგუფი

კანადა 3:1 შვედეთი

ლატვია 4:0 ბელარუსი

კანადა	3	0	0	12:2	6
შვედეთი	2	0	1	6:5	4
ლატვია	1	0	2	6:9	2
ბელარუსი	0	0	3	1:9	0

D ჯგუფი

ავსტრია 6:2 სლოვენია

ფინეთი	2	0	0	17:1	4
ჩეხეთი	2	0	0	13:3	4
ავსტრია	1	0	2	8:15	2
სლოვენია	0	0	3	4:23	0

პატარა, მინისმოსატეხი, მაგრამ მაგარი

პლეი ოფი თავისი გზით მიდის, ამასობაში კი ლიგა არ ცდება. წუხელ ნჰლ-ში მოთამაშეთა ასოციაციამ თავისი კანდიდატები დაასახელა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის პრიზზე — „ლესტერ ბ. პირსონ ავარდი". ამ ნომინაციაში მეორე პრიზიც არსებობს — მწერალ ჟურნალისტთა ჯილდო — „ჰარტ ტროფი". უმეტეს შემთხვევაში ორივეს ლაურეატი ერთი და იგივე პიროვნება ხდება, ამჯერად კი შეიძლება, ახალი გაიყოს. კოლორადოელმა პეტერ ფორსბერგმა და ვანკუვერელმა მარკუს ნესლუნდმა საუცხოო სეზონი ჩაატარეს. ფორსბერგი ბომბარდირთა (106 ქულა) და ასისტენტთა (77 პასი) შორის გაპირველდა. სამაგიეროდ, ნესლუნდმა გოლებით (48) აჯობა. ორივე ერთი შვედური ქალაქიდან, ერნშიოლსდვიკიდან არიან. ასე რომ, ერთი პრიზის ლაურეატი აუცილებლად შვედი იქნება, რაც ლიგის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. მესამე ლაურეატი ჯო ტორნტონია. ბოსტონის ახალგაზრდა კაპიტანმაც დაძლია 100-ქულიანი ზღვარი.

სამველ ღარიბიანი

მატჩის შემდეგ

გახარებული საქართველო და დამწუხრებული რუსეთი... „ლოკომოტივის“ აღმოსავლეთ ტრიბუნის ქვეშ, გასახდელებთან აღმაფრენა და იმედგაცრუება გვერდ-გვერდ იყო.

სტუმრებს ფერი აღარ ედოთ, რუსული ფეხბურთის თავკაცს ვიაჩესლავ კოლოსკოვს სახე ჩამოსტიროდა, ხოლო მიტკლისფერი ვალერი გაზაევი ავტობუსში ისე აიპარა, ჩვენ კი არა, ვგონებ, რუსებმაც ვერ მოჰკრეს თვალი.

ქართველთა გასახდელში კი სიხარულს დაესადგურებინა. პირველი მიმლოცველი მერაბ ჟორდანია იყო, მას კვალად ანზორ კიკალიშვილი მიჰყვა.

ფეხბურთელები კი გასახდელიდან რიგ-რიგობით გამოდიოდნენ და წამსვე ჟურნალისტთა ალყაში ექცეოდნენ. მხოლოდ კალაძის და ნემსაძის მოხელთება ვერ მოხერხდა. კახას პირადმა დაცვამ არ გაგვაკარა, რომლის ალყაში თვით აღნაგი მილანელიც კი ჩიად მოჩანდა, ხოლო გიორგიმ ყველას მოგვიბოდიშა და იქაურობას სირბილით გაეცალა.

გაზაევისგან განსხვავებით, რუსი ფეხბურთელები და დელეგაციის წევრები მატჩისშემდგომ კომენტარს არ გაურბოდნენ. თუ რას ფიქრობდა სტუმარ-მასპინძელი, ქვემოთ იხილეთ

ბუბა ფრონაძის ფოტო

მიხეილ აშვეთია და გივი დიდავა

რუდოლფ ბატა, უეფას დელეგატი:

— ბევრს ვერაფერს გეტყვით, უფლება არა მაქვს, თუმც მთავარზე, რაც ყველაზე მეტად გაინტერესებთ, სიამოვნებით გიპასუხებთ — არანაირი პრეტენზია არ მაქვს, ყველაფერი ნორმალურად იყო. გმადლობთ კარგი მასპინძლობისთვის, გილოცავთ გამარჯვებას.

ვიაჩესლავ კოლოსკოვი, რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი:

— გულდაწყვეტილი ვარ, წავაგეთ და ეს სამი ქულა, შესაძლოა, ჯგუფში ჩარჩენის ფასად დაგვიჯდეს. ჩემთვის სამწუხარო კია, მაგრამ ყველამ ყველაფერი ნახა და რაც სათქმელია, უნდა ვთქვა, საქართველომ დაიმსახურა და მოიგო, შედეგი ლოგიკურია, ანგარიში კი, დამეთანხმებით, უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, მასპინძლებს ერთის გარდა ორი-სამი ნაღდი მომენტი გაუცუდდათ. რუსეთის ნაკრებმა უსისხლოდ ითამაშა. სისწრაფე და იმპროვიზაცია გვაკლდა. ქართველები ჩვენებზე ერთი თავით მაღლა იყვნენ.

— მასპინძლობით კმაყოფილი ბრძანდებით?

— ყველაფერი კარგადაა. უსაფრთხოების ზომები ნორმალურია. არანაირი პრეტენზია არ გვაქვს. ასეც ვიცოდით და თბილისში გამომგზავრებაზე წუთით არ გვიყოყმანია. საფეხბურთო ხულიგნები ყველა ქვეყანაში არიან. ასეა მოსკოვში, თბილისსა თუ ლონდონში. ტრიბუნაზე ზოგი ნასვამი ზის, ზოგიც დაქირავებულია და ყველაფერია მოსალოდნელი. დღეს ქომაგები სამაგალითოდ იქცეოდნენ და ვიმედოვნებ, არც აეროპორტამდე შეგვხვდება რაიმე ხიფათი.

ვიქტორ ონოპკო:

— ძალიან გავვიჭირდა. ქართულ დაცვას, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ვერაფერი მოვუხერხეთ. ფლანგებიდანაც ვცადეთ შეტევა, ცენტრიდანაც, მაგრამ თქვენები კედელივით იდგნენ. თავდასხმაში სემაკი მარტო არ ყოფილა, მას კარიაკა და იზმაილოვი ეხმარებოდნენ, მათ უნდა გაერღვიათ დაცვა, თუმც ყველამ ნახეთ, რაც მოხდა. ბოდიში, სათქმელი აღარაფერი მაქვს.

ალექსეი სმერტინი:

— დღეს იღბალმა ზურგი შეგვაქცია. არ გაგვიმართლა.

— თქვენი მარცხის მთავარი მიზეზი ესაა?

— არა, ალბათ სწორად ვერ გამიგეთ, ქართველებმა ძალიან კარგად ითამაშეს. ჩვენ კი ბევრი შეცდომა დავუშვით. თამაში ვერ ავაწყვეთ. იმედგაცრუებული, საშინლად გულნატკენი და გაოცებული ვარ.

ეგორ ტიტოვი:

— საქართველომ დამსახურებულად გაიმარჯვა და ენა არ მომიბრუნდება, ვთქვა, არ გაგვიმართლაო. ძალიან მომეწონა თქვენი გუნდი, ინდივიდუალურ ოსტატობაზე აღარაფერს ვამბობ. ჩვენ კი... ჩვენ, ეტყობა, მეტოქე ღირსეულად



ბუბა ძლიერაძის ფოტო

რუსთაგან საუკეთესო ალექსეი სმერტინი

ვერ შევაფასეთ და დავისაჯეთ. ვინც მოგებას იმსახურებდა, მოიგო კიდეც.

დავით კვირკველია:

რუსეთს ძლიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ მე და ჩემი თანაგუნდელები ისეთ განწყობაზე ვიყავით, ჩვენს წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. ძალიან გახარებული ვარ, ხალხს უდიდესი მადლობა, დღეიდან ჩვენც გვაქვს ჯგუფიდან გასვლის შანსი.

ზურაბ ხიზანიშვილი:

ბედნიერი ვარ რომ გავიმარჯვეთ და ქართველ ხალხს ბედნიერი საღამო ვაჩუქეთ. ძალიან დაძაბულები ვიყავით, მე ფეხიც მაწუხებდა, მაგრამ აგუგუნებულ ტრიბუნებს რომ ვუყურებდი, ტკივილი მავიწყდებოდა. სტადიონზე მყოფი ქომაგი ჩვენი მეთორმეტე მოთამაშე იყო, მეცამეტე კი სტადიონს გადაღმა, ეკრანთან თავმოყრილი გვეგულებოდა.

დღეს საქართველოს ნაკრები ერთ მუშტად იყო შეკრული და ერთი მიზნისთვის, გამარჯვებისთვის იბრძოდა, რუსები კი ამას არ მოელოდნენ და დაისაჯნენ კიდეც.

რატი ალექსიძე:

რუსებთან თამაშის მნიშვნელობა ყველას კარგად გვესმოდა. გასაზურებლად გამოსულსაც თვალი მოედნისკენ მეპარებოდა. დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვიყავი და ეს ტვირთი მხოლოდ მოედანზე შესვლის შემდეგღა მომეხსნა. ვიცოდი, რომ რუსებთან წაბორძიკების უფლება არ გვქონდა და ბედნიერი ვარ, საქართველომ რომ გაიხარა.

ოთარ ხიზანეიშვილი:

ვგრძნობდი, რომ მოვიგებდით. დღეს რუსეთს ფეხბურთელებმა და ხალხმა ერთად მოუგეს. მათ კარგი გუნდი ჰყავთ, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენზე ძლიერები არ არიან. ჩვენ წინსვლის შანსიც გვაქვს, თუმც სადღეისოდ მთავარი ქართველი ხალხის სიხარულია.

მიხეილ აშვეთია:

თითოეულმა, ვინც დღეს ჩვენგან მოედანზე იყო, გამარჯვებისთვის ყველაფერი გაიღო. დაღლილობისგან და ემოციებისგან ალბათ ორი დღე არ დამეძინება. მეტოქეს ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ ჩვენ მაინც ვაჯობეთ და რომ გაგვმართლებოდა, დიდი ანგარიშით დავამარცხებდით.

გიორგი ლომაია:

შეკრების დაწყების დღიდან თავს კი ვიმშვიდებდი, მაგრამ დაძაბულობა ბოლომდე მაინც ვერ დავძლიე. ბლომადაც ვინერვიულე, ახლა რომ მკითხოთ, ვერაფრით გიპასუხებთ და არც ვიცი, როგორ შევწვდი სემაკის თავურს, თუმც ბედნიერი ვარ, რომ გოლი არ გავუშვი, თანაც ბიჭები ლომებივით იბრძოდნენ და ეს საქმეს მიიოლებდა.

ლადო ბურდული:

მე ვერ გეტყვით, როგორ ვითამაშე, ეს თქვენი და სპეციალისტების შესაფასებელია. იმედია, ფორმაშიც მალე შევალ, კიდევ მოვუმატებ და ნაკრებისთვისაც უფრო სასარგებლო ვიქნები. გამოცდა ძნელად, მაგრამ მაინც ფრიადზე ჩავაბარეთ. მთავარია, რუსებს მოვუგეთ, მერე ემოციები ჩაცხრება და ცივი გონებით სხვა თამაშებზეც ვიფიქრებთ.

გივი დიდავა:

ჩვენ დავამტკიცეთ, რომ თამაში შეგვიძლია. ხალხიც უზომოდ გავახარეთ. ახლა მთავარია, მიღწეულით არ დაკმაყოფილდეთ და წინსვლას ვეცადოთ.

მამუკა კვანტალიანი
კოტა ინასარიძე

შოთა არველაძე:
რატომ მელაპარაკებით კედლიდან?

რატომ დატოვა გუშინ დილით ეროვნული ნაკრები შოთა არველაძემ? ამ სკანდალური ფაქტის შესახებ ივო შუშაკმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მოკლედ თქვა. კომენტარი და ახრის გამოთქმა წუხელ არველაძესაც ვთხოვეთ. მაშ ასე, შოთა გუშინდელი სკანდალის შესახებ

ბუბა ძლიერაძის ფოტო

— შეგიძლია გვითხრა, მაინც რა მოხდა?

— ენახე, რომ საამმატჩო სიაში არ ვიყავი, ჩანთა ჩავალაგე და წამოვედი. საჭირო როცა არ ხარ, აბა, სხვა რა უნდა ქნა?

— კი მაგრამ, შუშაკმა ხომ თვრამეტკაციან განაცხადში შეგიყვანა და იქნებ შეცვლაზეც შეეყვანე...

— ამას ახლა რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია, რომ ყველაფერი ასე კარგად დამთავრდა. უბრალოდ, კიდევ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ამ გამარჯვებაში მეც მიმეღო მონაწილეობა.

— და რატომ არ მოხდა ასე?

— ჩემთვის სიტყვაც კი არავის უთქვამს და კედლიდან, კედელზე გამოკრული ფურცლიდან გავიგე ჩვენი გუნდის შემადგენლობა.

— ესე იგი, იმაზე ხარ ნაწყენი, რომ შუშაკი პირადად არ გესაუბრა თავისი გადაწყვეტილების შესახებ?

— წყენა არაფერ შუაშია, მაგრამ იმის ღირსი არ ვიყავი, რომ ჩემს შესახებ ინფორმაცია მქონოდა? შოტლანდიაში ჩემს ბოლო ჩატარებულ შეხვედრაში ორი გოლი გავიტანე, ამხელა გზა გამოვიარე და ყველანაირად მზად ვიყავი რუსეთთან სათამაშოდ.

— გამოდის, ყველაფერი იმის ბრალია, რომ მწვრთნელის გადაწყვეტილების შესახებ კედელზე გამოკრულიდან გაიგე?

— ჰო.

— როგორ ფიქრობ, რამდენად პროფესიონალურია შენი ეს გადაწყვეტილება?

— თუ საჭირო არ ხარ, გუნდში რატომ უნდა გაჩერდე? მოკლედ, ჩავთვალე, რომ საჭირო აღარ ვიყავი.

— შენი და შუშაკის სამომავლო ურთიერთობა როგორ წარმოგიდგენია?

— ასეთი რამ ამ ეტაპზე არ წარმოგიდგენია. მაგრამ თუ დავსხდებით და დავილაპარაკებთ, რაღაც-რაღაცეების გარკვევა მოგვიწევს. თუმც, მთავარი ისაა, რომ შედეგი მიღწეულია — ამ თამაშს და გამარჯვებას ხომ ამდენი ხანი ველოდით და რაღაც პირადი ურთიერთობები ამასთან შედარებით უმნიშვნელოა. ამ წუთს მეც და მასაც ის გვინდოდა, რომ ქართველებმა გაიმარჯვეს.

— ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა?

— ჩემი მხრიდან ნაკლებად, რომ გაუგებრობა მომხდარიყო — ბოლო მომენტამდე გუნდთან ერთად ბაზაზე ვიყავი. სათადარიგოთა შორის ყოფნა და შეცვლაზე თამაში კი არასდროს მითამკილია — არც იტალიასთან თბილისში მატჩისას წინა შესარჩევ ციკლში და არც ამას წინა შვეიცარიასთან თამაშში. მაგრამ, რომ ვნახე, რომ საჭირო არ ვარ...

დავით თავგართქილაძე

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

ისრაელი 2:0 კვიპროსი
მალტა 1:3 სლოვენია

IV ჯგუფი

ლატვია 3:0 სან მარინო

VIII ჯგუფი

ანდორა 0:2 ესტონეთი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი შესარჩევი ეტაპი

I ჯგუფი

ისრაელი 0:3 კვიპროსი

ინგლისი

პირველი დივიზიონი გადადებული მატჩი

უოტფორდი 0:3 რედინგი

რუსეთი

ლიგის თასი 1/4 ფინალი I მატჩი

ჩერნოზემორეცი 1:0 სპარტაკ-ალანია

გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა XXVIII ტური

ნოინკირხენი 1:2 ლაუტერნი (მ)

ამხანაგური მატჩები

უზბეკეთი 1:2 ბელარუსი
შვედეთი 1:2 ხორვატია
ფინეთი 3:0 ისლანდია
ლიტვა 0:1 რუმინეთი
ბულგარეთი 2:0 ალბანეთი
სლოვაკეთი 2:2 საბერძნეთი
დანია 1:0 უკრაინა
ლიხტენშტაინი 1:0 საუდეთი
ლიბია 1:3 არგენტინა
ჩეხეთი 4:0 თურქეთი
ბელგია 3:1 პოლონეთი
უნგრეთი 5:1 ლუქსემბურგი
ირლანდია 1:0 ნორვეგია
ტუნისი 1:0 სენეგალი
გერმანია 1:0 სერბეთი
შვეიცარია 1:2 იტალია
სამხრეთ აფრიკა 0:0 იამაიკა
შოტლანდია 0:2 ავსტრია
საფრანგეთი 5:0 ეგვიპტე
ჰოლანდია 1:1 პორტუგალია
მაროკო 0:1 კოტ დივური
ესპანეთი 4:0 ეკვადორი

ახალგაზრდულები

ბულგარეთი — ალბანეთი 3:1; უნგრეთი — ჩეხეთი 5:1;



სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფიცხელია
დირექტორი გიორგი ოქროპაჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, საბა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დვალაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ქუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge